ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

სამშაბათი, 5 ნოემბერი, 2019 №262 (8216) ფასი: 60 თეთრი

## პროკურატურამ გია უდესიანის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო


გვ.5

ემზარ ლიპარტელიანი: „თბილისში, აფთიაქში დამიჭირეს, გადამიგრიხეს ხელები და წამომიყვანეს“

# მეუფე პეტრე: „პატრიარქის წინაშე მოსანანიებელი არაფერი მაქვს“


გვ.2

ყოფილმა მიტროპოლიტმა ჭყონდიდის ეპარქია დატოვა

## ნიკა ჩიტაძე: „ხელისუფლება და პატრიარქი რაღაცნაირად მოკავშირეები არიან“


გვ.4

ანაფორის ტარება მართლმადიდებლობისთვის საკმარისი არ არის

„რადგან წყარო არ გვაქვს, ვერ ვიტყვით ცალსახად, რომ საპატრიარქო ხელისუფლებას გაურიგდა, მაგრამ ურთიერთინტერესები არსებობს“

## „ხალხს „ოცნებაზე“ უკეთესი ხელისუფლება უნდა, ნაციონალები მისთვის წარსულია“

თორნიკე შარაშენიძე: „ეკლესიაშიც და არჩევნებზეც ძველი თაობა დადის“


გვ.3

## ბეჟან ნათელაშვილი: „ივანიშვილი საპატრიარქოში მივიდა, როგორც დამნაშავე შემთხვევის ადგილზე“


გვ.3

„პატრიარქიც ისეთივე უნდათ, როგორიც პარლამენტის თავმჯდომარე და გენპროკურორი ჰყავთ“

## მეკობრეებმა გემი გაიტაცეს, რომლის ბორტზეც ქართველი მეზღვაურია



გვ.2

## მამუკა გამყრელიძე: „ვერავინ ვერსაიდან ვერ გამრიცხავს!“


გვ.3

„ნაცმოძრაობის ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ პატარა პარტიები ბალასტი ვართ“

ISSN 1987-9385

9 771987 938006

4 „ცხინვალში კვალიფიციური სამედიცინო დახმარების მიღება შეუძლებელია“

2 ბადრი ჯაფარიძე: „ინფლაციის მაჩვენებელი საგანგაშოდ მაღალია

2 დასავლეთის მედია ზელიმხან ხანგოშვილის მკვლელობას რუსეთს უკავშირებს

6 ირანი ურანის გამდიდრების ახალ ეტაპს იწყებს

# მეუფე პეტრე: „პატრიარქის წინაშე მოსანანიებელი არაფერი მაქვს“

## ყოფილმა მიტროპოლიტმა ჭყონდიდის ეპარქია დატოვა

— მიმაჩნია, რომ პატრიარქის წინაშე მოსანანიებელი არაფერი მაქვს, — ამის შესახებ ჭყონდიდის ყოფილმა მიტროპოლიტმა პეტრე ცაავამ გუშინ, 4 ნოემბერს, მარტვილში, ეპარქიაში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.



მისი თქმით, ახლა ან თავად უნდა დაისაჯოს ცილისწამებისთვის, ან მის მიერ წაყენებული ბრალდება უნდა დამტკიცდეს კანონიკური სამართლის მიხედვით.

მეუფე პეტრე ცაავა აცხადებს, რომ მზადაა ნებისმიერი სასჯელისთვის.

— უსამართლო სასჯელები უკვე დაწყებულია, სერიები გაგრძელდება. მე მზად ვარ ნებისმიერი გამოწვევისთვის...

მთელი ცხოვრება სინანულით უნდა გავატაროთ, ვიდრე მეორედ მოსვლამდე და არასოდეს მავიწყდება სიტყვები იოანე ნათლისმცემლისა, შეინანეთ, ვინაიდან მოახლოებულია ცათა სასუფეველი, — აღნიშნა მეუფე პეტრე ცაავამ.

მისი აზრით, პატრიარქი თავს კანონზე მაღლა აყენებს.

— პატრიარქს ვთხოვე, რომ ის უნდა იყოს კანონის გარანტი, მაგრამ ჩვენ ვხედავთ, რომ პატრიარქი თავის თავს კანონზე მაღლა აყენებს, — განაცხადა მან.

მეუფე იმ მტკიცებულებებზე საუბარს, რომელთა წარდგენასაც სინოდის სხდომაზე გეგმავდა, სინოდის სხდომის მიღმა არ აპირებს.

— მასზე საუბარს წმინდა სინოდის სხდომის მიღმა არ ვაპირებ. ეს მხოლოდ საზოგადოებრივი ინტერესების დაკმაყოფილება და ასევე ჭორაობა იქნება. მე მხოლოდ ვითხოვდი სინოდზე გარანტიებს იმის, რომ რჯულის კანონი აღსრულდება და პატრიარქს ვთხოვე, რომ ის უნდა იყოს გარანტი კანონისა, მაგრამ ჩვენ ვხედავთ, რომ პატრიარქი თავის თავს კანონზე მაღლა აყენებს.

არანაირი გამართლება პატრიარქის მხრიდან, რომ ის კანონზე მაღლა დადგეს, არ აქვს. ამიტომ მე ვითხოვ, კანონიკის ფარგლებში იმოქმედოს პატრიარქმა და მხოლოდ შემდეგ ვარ მზად, გავაგრძელო კანონიკურ ფარგლებში მტკიცებულებები, — განაცხადა მეუფე პეტრემ.

მისი აზრით, შესაძლოა, მეუფე იაკობსა და მთავრობის წარმომადგენლებს შორის შეხვედრისას საუბარი პატრიარქის კანონიკურობას ეხებოდა.

— მიმაჩნია, რომ მეუფე იაკობის გამოხდომა იყო არაადეკვატური, საერთოდ ჩემთან მიმართებაში არაერთგზის გააჟღერა ცილისწამება. ესაა ასევე ადამიანი, რომელსაც სასამართლოს პირველი ინსტანცია აქვს წაგებული და მეორე ინსტანციას, როგორც ვიცი, ნოემბრის ბოლოს ელოდება. ამიტომაც ის ასევე მუქარის სიტყვებით გამოდიოდა სასამართლოს მიმართ. სასამართლო რომ დასაგმობია, ჩვენ დიდი ხანია ვიცით, მაგრამ მან ეს დაგმობა დაიწყო პირადი ინტერესებისა და საშიშროების გამო, — განაცხადა მეუფე პეტრემ.

მისი თქმით, მეუფე იაკობი არასერიოზული ადამიანია.

— მისი ყოველი სიტყვა ჩემთვის არის როგორც უპასუხისმგებლო ადამიანის სიტყვა.

მართვა-გამგეობის დებულების ფარგლებში მეუფე შიოს დღემდე არ აქვს ლეგიტიმაცია. შეიძლება ამაზე ფიქრობდნენ, ანუ პატრიარქი ან უნდა გადადგეს, მოიწვიოს სინოდი და გაერთიანებული კრება, რომელმაც ახალი პატრიარქი უნდა აირჩიოს, ან მოსაყდრეობა უნდა იქნეს უკან გამოწვეული, როგორც არაკანონიკური ქმედება მართვა-გამგეობის დებულების თანახმად.

შეიძლება ამ თემებზე იყო საუბარი და მეუფე იაკობი ნახევარ სიმართლეს საუბრობს, როგორც ეს მას სჩვევია. თუ ეს შეხვედრა იყო, შესაძლოა, ამ შეხვედრაზე ყოფილიყო მსგავსი თემის განხილვა, ანუ პატრიარქის კანონიკურობა, იქნებ ეს ხელისუფლება ითხოვდა, როგორაა ეს საკითხი კანონიკის ფარგლებში, — აღნიშნა მეუფე პეტრემ.

ის არ გამორიცხავს, რომ, შესაძლოა, მღვდლობიდან განკვეთონ.

— ციანიდის სკანდალის შემდეგ, ანუ იმის მერე, რაც იკადრა საპატრიარქომ და რასაც მე ვხედავ, ანტიქრისტიანობას და ანტიქრისტეობას მათ შორის, სასულიერო პირებისა თუ მაღალი იერარქიისგან, არაფერს გამოვრიცხავ. უბრალოდ, ნდობასაც კი არ ვუცხადებ მათ სივრცეს.

დაველოდები მათ გადაწყვეტილებას. ბუნებრივია, ვერ წარმომიდგენია, რომ სინოდის სხდომა ისე ჩაინიშნოს, რომ ეს საკითხი დღის წესრიგში არ დადგეს. ეს, რა თქმა უნდა, უხერხული იქნება, — განაცხადა მეუფე პეტრემ.

მან პრეზიდენტ ზურაბიშვილზეც ისაუბრა და თქვა, რომ თუ პრეზიდენტმა მსჯავრდებული დეკანოზი არ შეიწყალა, მაშინ გამოდის, რომ საპატრიარქოს მიერ პრეზიდენტისადმი მიმართვა არის დადგმული სცენა.

— მე მიმაჩნია, რომ თუ პრეზიდენტმა ისევ დაფრანგულობის გზა აირჩია და თავი შეიკავა ამ საკითხის, ანუ წმინდა სინოდისა და პატრიარქის მიმართვის დასაკმაყოფილებლად, მაშინ როდესაც ის ამბობდა, რომ გმობს პატრიარქის შეურაცხყოფას, ასევე დასაგმობი იქნება პატრიარქის თხოვნის იგნორირება. ანუ, სწორედ ამით, კიდევ ერთხელ დადასტურდება მისი საქციელი, უკვე, დაფრანგულობის ფორმატში, როგორც მე მას მივმართე.

გამოდის, რომ ეს არის დადგმული სცენარი, წინასწარ შეთანხმებული გეგმა, რომ საპატრიარქომ მოიხსნას მორალური პასუხისმგებლობა, უშუამდგომლოს, მაგრამ პრეზიდენტმა თქვას უარი.

საპატრიარქოს გულწრფელობის შემთხვევაში არსებობს ალტერნატივა, საპატრიარქომ სასწრაფოდ უნდა მისწეროს წერილი იუსტიციის მინისტრს, ვინაიდან შუამდგომლობის მიზეზი იყო ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება. არსებობს კანონი, რის თანახმადაც, ხდება პატიმრის სასჯელის გადავადება მკურნალობის მიზნით. ანუ პატიმარს ციხიდან სამკურნალოდ ათავისუფლებენ, შემდეგ ის კვლავ უბრუნდება სასჯელაღსრულების დაწესებულებას.

აი, ამ პუნქტით შესაძლებელია, რომ თუ პრეზიდენტი გახდება არაადეკვატური, იუსტიციის სამინისტრომ მიიღოს ეს გადაწყვეტილება და დააკმაყოფილოს საპატრიარქოს თხოვნა, მაგრამ თუ საპატრიარქო იუსტიციის სამინისტროსაც არ მიმართავს, პრეზიდენტის გადაწყვეტილებაზე პასუხისმგებლობას პრეზიდენტს აკიდებს.

როცა ის ჩვენ მოგვიწოდებდა პატრიარქის პატივისცემისაკენ, გამოდის, რომ თვითონ ორმაგი სტანდარტით ფარისევლობს, როდესაც პატრიარქის თხოვნას და სინოდის თხოვნას არ სცემს პატივს. ამით ის შეურაცხყოფას აყენებს არა მარტო პატრიარქს, არამედ მთელ წმინდა სინოდს, მთელ საქართველოს, მართლმადიდებელ ეკლესიას, — განაცხადა მეუფე პეტრემ.

* * *

გუშინვე ჭყონდიდის ეპარქიის ყოფილმა მიტროპოლიტმა ეპარქია დატოვა. მან ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძარი მოილოცა, რის შემდეგაც ეპარქია დატოვა.

მეუფე პეტრესთან ერთად ეპარქია დატოვა ხუთმა მონაზონმა.

— სადაც იქნება მეუფე პეტრე, იქ ვიქნებით ჩვენც, — განაცხადა იღუმენია თამარ გამყრელიძემ.

ამასთან, წმინდა ამბროსი ხელაიას სახელობის ინჩხურის ტაძარი დატოვა წინამძღვარმა ანდრია სარიამ.

შეგახსენებთ, რომ ჭყონდიდელი მიტროპოლიტი, მეუფე პეტრე ცაავა 31 ოქტომბერს, წმინდა სინოდის გადაწყვეტილებით, მღვდელმთავრობიდან გადააყენეს.

„სინოდის განჩინებით, მიტროპოლიტი პეტრე (ცაავა) გათავისუფლდა ჭყონდიდის ეპარქიის მმართველობიდან და წმინდა სინოდის წევრობიდან და განმწესდა მონასტერში. მონასტრის ადგილად განესაზღვროს შიომღვიმე“, — ნათქვამია პატრიარქის ბრძანებაში.

# დასავლეთის მედია ზელიმხან ხანგოშვილის მკვლელობას რუსეთს უკავშირებს

სიენენი საქართველოს მოქალაქის, 40 წლის ეთნიკური ჩეჩენის ზელიმხან ხანგოშვილის გერმანიაში მკვლელობაზე წერს და გერმანიის მთავრობას უჩვეულო დუმილისთვის აკრიტიკებს.

გამოცემასთან ინტერვიუში „საქართველოს სტრატეგიული და საერთაშორისო კვლევების ფონდის“ მკვლევარი, ალექსანდრე კვახაძე აცხადებს, რომ ხანგოშვილის მკვლელობის მცდელობა თბილისშიც განხორციელდა და ეს რუსულ დაზვერვას და ჩეჩნეთის ლიდერ რამზან კადიროვს უკავშირდება.



— ხანგოშვილი დარწმუნებული იყო, ვინ იდგა ამ თავდასხმის უკან. მას ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ეს რუსული დაზვერვა იყო, — განაცხადა კვახაძემ და დასძინა, რომ ხანგოშვილი ეჭვობდა, რომ საქართველოს უსაფრთხოების სამსახურმა რუსეთს ქვეყანაში ოპერაციის ჩატარების უფლება მისცეს.

ზელიმხან ხანგოშვილის ყოფილი მეუღლე, მანანა ცატიევა აცხადებს, რომ ხანგოშვილი იძულებული იყო, საქართველო დაეტოვებინა, თუმცა გერმანიის მთავრობამ სამჯერ უარი განუცხადა თავშესაფრის მიცემაზე.

— ნორმალურად ვერ აღვიქვამ, რომ ადამიანი დახვრიტეს და ეს სხვა ქვეყნის მოქალაქემ ჩაიდინა. მოკლეს ადამიანი, რომელიც მფარველობას ითხოვდა და გერმანიამ მას უარი უთხრა, — აცხადებს ცატიევა.

გერმანიის მთავრობის მსგავსი ქმედება არ აკვირვებს ჩეჩენ უფლებადამცველ, მანსულ სადულაევს.

— რუსეთი დიდი ძალაა და გერმანიას მასთან ურთიერთობების გაფუჭება არ სურს. ჩეჩნები მას მხოლოდ უხერხულობას უქმნიან, — განაცხადა სადულაევმა.

# მეკობრეებმა გემი გაიტაცეს, რომლის ბორტზეც ქართველი მეზღვაურია

ტოგოში ლომეს პორტში, მეკობრეებმა გემი გაიტაცეს, რომლის ბორტზეც ქართველი მეზღვაურია.



ინფორმაციას ამის შესახებ ადასტურებს საქართველოს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო.

თავდასხმის დროს ეკიპაჟის 24 წევრიდან გაიტაცეს ოთხი მეზღვაური: ერთი საბერძნეთის, ორი ფილიპინებისა და საქართველოს ერთი მოქალაქე.

„გემი ამჟამად გაჩერებულია ტოგოში ლომეს პორტში. ინფორმაციის მიღებისთანავე დამატებითი დეტალების გარკვევის მიზნით, საერთაშორისო ტრანსპორტის ორგანიზაციის საშუალებით დავუკავშირდით გემთფლობელ კომპანიას. აღნიშნული კომპანიის წარმომადგენელმა დაგვიდასტურა საქართველოს მოქალაქის გატაცების ფაქტი.

ამასთან აღნიშნა, რომ ისინი მუშაობენ ეკიპაჟის წევრების გათავისუფლების საკითხზე. ასევე, ელოდებიან გამტაცებლების მხრიდან კომუნიკაციას, რომელიც, კომპანიის წარმომადგენლის განმარტებით, არსებული გამოცდილებით, უახლოეს ორი-სამი დღის განმავლობაში შეიძლება შედგეს.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო და საგარეო საქმეთა სამინისტრო ერთობლივად მუშაობენ ყველა შესაძლო გზით ქართველი მეზღვაურის ტყვეობიდან უსაფრთხოდ დასახსნელად. უკვე დავუკავშირდით ოჯახის წევრებს. თუმცა, ქართველი მეზღვაურის უსაფრთხოებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია არ გავრცელდეს მედიის საშუალებით მაიდენტიფიცირებელი ინფორმაცია“ — აღნიშნულია განცხადებაში.

# ბადრი ჯაფარიძე: „ინფლაციის მაჩვენებელი საგანგაშოდ მაღალია

„საგანგაშოდ მაღალია ინფლაციის მაჩვენებელი. უნდა შეიქმნას ეკონომიკური ინიციატივების ერთობა, რომელიც ქვეყანას გამოიყვანს ამ მდგომარეობიდან" — ასე აფასებს ბადრი ჯაფარიძე „საქსტატის“ მიერ გამოქვეყნებულ მონაცემს, რომლის თანახმადაც წლიური ინფლაციის მაჩვენებელი ოქტომბერში 6.9 პროცენტს გაუტოლდა.

— ასეთი მაღალი ინფლაცია პირდაპირ ურტყამს მოსახლეობის განსაკუთრებით მოწყვლად ნაწილს. რა თქმა უნდა, მნიშვნელოვნად ამცირებს მოსახლეობის მსყიდველუნარიანობას და განსაკუთრებით იმ ადამიანების, რომლებსაც დაბალი შემოსავალი აქვთ. საგანგაშოდ მაღალია ინფლაციის მაჩვენებელი. იმდენად, რომ უნდა შეიქმნას ეკონომიკური ინიციატივების ერთობა, რომელიც ქვეყანას გამოიყვანს ამ მდგომარეობიდან.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ მაღალი ინფლაცია გამოწვეულია გაუფასურებული კურსის გამო. ფაქტია, რომ ლარის კურსის დაწევა დოლართან მიმართებაში რამდენიმე ფაქტორითაა გამოწვეული, მათ შორის პირდაპირი ინვესტიციების კლებით. ანუ მყარი ვალუტის შემოდინებამ იკლო ქვეყანაში. ვგულისხმობ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს, რომელიც არის არა მხოლოდ მყარი ვალუტის შემოდინების, არამედ ახალი საწარმოების შექმნის ან არსებული საწარმოების გაფართოების წყარო. 54%-იანი ვარდნა მიუთითებს, რომ ამ მიმართულებით გვაქვს სერიოზული პრობლემა. ამან, ეკონომიკის არაეფექტურმა მართვამ და კიდევ სხვა ფაქტორებმა გამოიწვია ლარის კურსის დაცემა.

რაც შეეხება ციფრს, რომლითაც ამაყობენ და აცხადებენ, რომ ოქტომბერში ეკონომიკის მაჩვენებელი გაიზარდა 5%-ით. იცით, რასთან შედარებით გაიზარდა? შარშანდელ მესამე კვარტალთან, როდესაც ძალიან დაბალი ზრდა დაფიქსირდა. დღეს გამოქვეყნდა სავალუტო ფონდის პროგნოზი, რომლის თანახმადაც მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა 2020 წლისათვის 4,3 პროცენტი იქნება. საერთაშორისო ორგანიზაცია ვარაუდობდა, რომ მშპ-ს ზრდა 4.8 პროცენტი იქნებოდა. ეს არის ძირითადი პრობლემა, რომლის გადაჭრის არანაირი პროგრამა და ხედვა არ არსებობს სახელმწიფოს მხრიდან. ინფლაცია, სამწუხაროდ, ურტყამს მოსახლეობის ყველაზე მოწყვლად ნაწილს.

ყველაფერი ერთმანეთთანაა დაკავშირებული. ლარის კურსის ვარდნა დოლართან მიმართებაში გამოწვეულია იმით, რომ შემცირდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ქვეყანაში. ეკონომიკა არაეფექტურად იმართება. ამან გამოიწვია ლარის გაუფასურება, რაც აისახა ინფლაციის გაორმაგებულ ტემპში. მიზნობრივი მაჩვენებელი 3% უნდა ყოფილიყო. ხოლო როდესაც 3%-დან 7%-ს ვიღებთ, ნიშნავს, რომ მათ მიერ გაკეთებული პროგნოზი არასანდოა. შესაბამისად, ეს ადამიანების და ინვესტორების მოლოდინებსაც ცვლის" — განაცხადა ბადრი ჯაფარიძემ.

„კომერსანტი“

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 294-02-55
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი: 294-06-91
ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ხალხს „ოცნებაზე“ უკეთესი ხელისუფლება უნდა, ნაციონალები მისთვის წარსულია“

## თორნიკე შარაშენიძე: „ეკლესიაშიც და არჩევნებზეც ძველი თაობა დადის“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი, ჯიპას პროფესორი **თორნიკე შარაშენიძე** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

***– ბატონო თორნიკე, 2020 წელს გადამწყვეტი არჩევნებია. ბოლო დროს ეკლესიაში განვითარებული პროცესები ამით ხომ არ იყო ნაკარნახევი, რადგან პოლიტიკური შემადგენელიც ახლდა ამ ყველაფერს?***

– ძალიან რთული სათქმელია. ოპოზიცია კი ამბობს, რომ ამ ყველაფრის უკან ივანიშვილი დგას, მაგრამ ლოგიკა მდგომარეობს იმაში, რომ 2012 წელს ეკლესიამ გარკვეული როლი ითამაშა, მაშინ სააკაშვილმა ის არჩევნები წააგო. ლოგიკა არის იმაში, რომ ივანიშვილს არ უნდა ახლა იგივე განმეორდეს.

ივანიშვილს ორი მთავარი ბერკეტი აქვს, რითაც 2020 წელს არჩევნების მოგებას აპირებს: ერთი – ადმინისტრაციული რესურსი და მეორე – სააკაშვილი, როგორც მტრის ხატი. რა თქმა უნდა, აქ არ უნდა ეკლესია ჩაერიოს და რაღაცნაირად აურიოს. ამიტომ, მე ლოგიკას ვხედავ იმაში, რომ ამ პროცესებს გარედან ეხმარება ხელისუფლება.

თუმცა, რასაკვირველია, ბრძოლა მიდის საპატრიარქო ტახტისთვის და ამ ბრძოლაში რამდენიმე დაჯგუფება გამოიკვეთა და ის ნაგავი, რომელიც ამდენი ხანი შიგნით იყო, გარეთ გამოვიდა. ამას თვალნათლივ ვხედავთ. სიმართლე გითხრათ, არც ერთის მხარეს არ ვარ, რადგან არ ვიცი, შიგნით რა ხდება. მხოლოდ ერთ რამეში ვარ დარწმუნებული, სამწუხაროდ, იმდენი ნაგავია შიგნით, რომ, დარწმუნებული ვარ, ბოლომდე გაუსვრელი არავინ არის.

***– ეს პროცესები არჩევნებზე გავლენას რამდენად მოახდენს?***

– რასაც მე ვხედავ, ახალი თაობა ეკლესიაში არ დადის, როგორც 90-იან წლებში დადიოდა. 90-იანებში უფრო დიდი იყო ეკლესიაზე მიჯაჭვულობა. თუმცა, ახალი თაობა არც არჩევნებზე დადის ინტენსიურად.

ეკლესიას გავლენა მაინც ძველ თაობაზე აქვს. ეკლესიაშიც და არჩევნებზეც რადგან ძველი თაობა დადის, სწორედ ამიტომ არის, რომ ჩვენ ბოლო ერთი კვირაა ვხედავთ, ერთი მხრივ, სააკაშვილი როგორ აბრალებს ივანიშვილს პატრიარქის წინააღმდეგ ინტრიგების ხლართვას და, მეორე მხრივ, „ქართული ოცნება“ როგორ გვეუბნება, რომ ამ ყველაფრის უკან სააკაშვილი დგას. ეს ურთიერთბრალდებები იმიტომ არის, რომ ეკლესიას კვლავაც აქვს გავლენა ამომრჩეველზე.

***– მტრის ხატი კვლავ იმუშავებს თუ ადამიანები აღარ ხედავენ სააკაშვილის დაბრუნებაში საფრთხეს?***

– ადამიანების მთავარი ამოსავალი არის მომავალი. 2012 წელს ივანიშვილს იმ იმედით მისცეს ხმა, რომ ფიქრობდნენ, ის სააკაშვილზე უკეთესი იქნებოდა და მათ უკეთესი მომავალი ექნებოდათ. ადამიანების უმრავლესობას ახლა „ოცნებაზე“ უკეთესი ხელისუფლება უნდა, ნაციონალური მოძრაობა მათთვის წარსულია. უკეთესი კი არ ჩანს. ამიტომ, მე მეშინია, რომ ამომრჩევლის უმრავლესობა სახლში დარჩეს. ამიტომ, არჩევნებზე მივა სააკაშვილის ერთგული ამომრჩეველი, რომელიც მოტივირებულია და



ადმინისტრაციული რესურსი, რომელიც ხმას „ოცნებას“ მისცემს.

***– ნიჰილისტური განწყობა ხელისუფლებას უფრო აწყობს?***

– რა თქმა უნდა! ამიტომ, ყველას გასვრა ყველაზე მეტად აწყობს ხელისუფლებას 2020 წლის არჩევნებზე – ვინ, თუ არა მე?!

***– არჩევანი ცუდსა და უარესს შორის 2020 წელსაც იქნება?***

– დიახ, ამას შეეცდებიან. პოლიტიკაში გაუსვრელი ძალიან ცოტაა, მაგრამ რეალურად ყველაფერი კეთდება საიმისოდ, რომ უფრო გასვრილად წარმოჩნდნენ, ვიდრე არიან. ასევე ყველაფერი კეთდება, რომ ახალგაზრდებს პოლიტიკაში მოსვლის ხალისი დაეკარგოთ.

***– „ქართული ოცნების“ ლიდერები არჩევნებზე ჯერ დაბალი პროცენტის აღებას პროგნოზირებდნენ, მეორე დღეს კი 60% გამოაცხადეს. გამოდის, ყოველი მეორე ამომრჩეველი „ოცნებას“ აირჩევს.***

– როგორ შეიძლება სამართლიან არჩევნებში მოსახლეობის 60% უჭერდეს მხარს ორი ვადის მიწურულს ხელისუფლებას?! თუმცა, თუ იმ სცენარის განხორციელებას შეძლებენ, რაზეც უკვე გესაუბრეთ, რომ ყველა ამომრჩეველი სახლში ხელჩაქნეული დარჩეს და არჩევნებზე მხოლოდ ადმინისტრაციული რესურსი მივიდეს, მაშინ მისულთა 60%-ს მართლა მიიღებენ.

***– და ამ ფონზე პატარ-პატარა პარტიების დახმარებით „ქართულ ოცნებას“ მთავრობის დაკომპლექტებაც არ გაუჭირდება?***

– დიახ, გასაგებია, სიო საითაც უბერავს და რატომაც არის მყარად ივანიშვილი. თუ რეალური ალტერნატივა არ იქნება, ბუნებრივია, ივანიშვილს დაუჭერენ მხარს, მაგრამ თუ „ოცნება“ გატყდება, სხვაგან გადაიხრებიან.

***– არჩევნებამდე ერთი წლით ადრე მსგავსი რამ არის მოსალოდნელი? თუნდაც „ოცნების“ გუნდში გადაჯგუფება რომ მოხდეს ან კიდევ დატოვოს ვინმემ?***

– სრულიად შესაძლებელია, სისტემურად ხომ არ იმართება, როგორც ქვეყანა იმართება მანკიერად, ისე იმართება „ქართული ოცნებაც“. ამიტომ, სრულიად შესაძლებელია.

შეიძლება „ქართული ოცნების“ სერიოზული მორალური კომპრომეტირება მოხდეს, როგორც 2012 წელს ნაციონალური მოძრაობის მორალური კომპრომეტირება მოხდა.

# მამუკა გამყრელიძე: „ვერავინ ვერსაიდან ვერ გამრიცხავს!“

## „ნაცმოძრაობის ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ პატარა პარტიები ბალასტი ვართ“

ნონა ცაბაძე



გასულ კვირას გავრცელდა ინფორმაცია, რომ ოპოზიციური გაერთიანება „ძალა ერთობაშია“ მამუკა გამყრელიძეს და კიდევ რამდენიმე პოლიტიკოსს დაატოვებინეს. **მამუკა გამყრელიძე** ამ ინფორმაციას „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში არ ადასტურებს. თუმცა არც იმას უარყოფს, რომ ნაცმოძრაობის ერთ ნაწილს ამის სურვილი აქვს.

***– ბატონო მამუკა რა ხდება ოპოზიციურ ერთობაში და რა საფუძველი აქვს ამ ჭორებს? აქტიურად საუბრობენ, რომ თქვენ ამ ერთობიდან გაგრიცხეს. ასეა?***

– რამდენიმე დღის წინ სხვა მედია საშუალებიდანაც დამირეკეს და იგივე მკითხეს. არადა მსგავსი არაფერი ხდება. ეს ინფორმაცია ყოვლად უსაფუძვლოა.

***– ნაციონალური მოძრაობის ინიციატივით გარიცხეს მოძრაობიდანო.***

– არ ვიცი, ვინ ავრცელებს მსგავს ხმებს, აბსოლუტურად უსაფუძვლოა.

***– საუბარია, რომ ზოგადად შიგნით არ არის კარგი სიტუაცია.***

– დალაგების პროცესი მიდის. ნაციონალური მოძრაობა არის ძალიან რთული ორგანიზაცია და უჭირთ რაღაც გადაწყვეტილებების მიღება.

***– ზედმეტი ამბიციებიც ხომ არ აწუხებთ?***

– ამბიციები ზოგადად ყველას აწუხებს. რადგან დავირქვი პოლიტიკოსობა, ალბათ მეც მაწუხებს. ჩემი ადგილიც კარგად ვიცი და ამიტომ ზედმეტის მოლოდინები არასდროს არა მაქვს. ჩვენ ყველას ერთად ხელი გვაქვს მოწერილი მემორანდუმზე, რომელიც გავაჟღერეთ კიდევაც საპრეზიდენტო არჩევნების წინ. ამ 12-მა სუბიექტმა გადაწყვიტა, ერთად მიეღო მონაწილეობა საპრეზიდენტო არჩევნებში, ხოლო შემდეგ უკვე გააგრძელოს ერთად ბრძოლა საპარლამენტო არჩევნებზე.

***– ხომ არ არღვევს ვინმე ამ მემორანდუმს?***

– დარღვევა არ არის არავის მხრიდან. 10 დღის წინ გვქონდა შეკრება. მე თვითონ არ წავსულვარ და თუ ვინმეს ჩემი გაგდება უნდა, თქვან.

***– ვინ ავრცელებს ამ ინფორმაციებს? ინფორმაცია შიგნიდან გამოვიდა.***

– ეს თუ გამოვიდოდა, გამოვიდოდა ნაციონალების ერთი ჯგუფიდან.

***– ანუ მაინც გყავთ მოწინააღმდეგეები?***

– ნაციონალური მოძრაობა ძალიან დიდი მოძრაობაა, ზოგს უნდა ჩვენი ერთად ყოფნა, ზოგს არა. მათი ნაწილი მიიჩნევს, რომ აჯობებს, მარტო თუ გავლენ არჩევნებზე და ეს ერთკაციანი პარტიები და ეს ბალასტი, მათი შეხედულებით, მათ არ უნდა ამძიმებდნენ.

***– ანუ ნაცმოძრაობის ერთი ჯგუფი თვლის, რომ ეს წვრილ-წვრილი პარტიები მათთვის ბალასტია?***

– რაღაცა ჯგუფი ამას თვლის. პოლიტსაბჭო აქვთ 124-კაციანი. მე დიდად არ დავინტერესებულვარ, ვინ რომელ მხარეს არის, მაგრამ მოცემულობა ასეთია. თუმცა ვიცი ისიც, რომ მათი ლიდერები აცხადებენ, რომ ამ მემორანდუმის ერთგულები არიან, რომელიც საპრეზიდენტო არჩევნების წინ დაიდო. საპრეზიდენტო არჩევნებზე უფრო მარტივი იყო ეს ყველაფერი, რადგან გაერთიანება ხდებოდა ერთი ადამიანის გარშემო.

ამ შემთხვევაში ბრძოლა მიდის არა მარტო გამარჯვებისთვის, არამედ მთავრობის დაკომპლექტებისა და საპარლამენტო სკამებისთვის. ყველამ დაიწყო იმაზე ფიქრი, რომ დამთავრდება არჩევნები, ჩემი ადგილი სად იქნება.

***– ითქვა ისიც, რომ ნაციონალებს აქვთ იმის შიში, იგივე არ დაემართოთ, რაც 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ დაემართათ, როდესაც „ევროპული საქართველო“ გამოეყოთ. ამიტომ ხომ არ ცდილობენ, რომ ზედმეტი ტვირთი აიცილონ? ხომ შეიძლება გაიყვანონ ეს პარტიები და შემდეგ პარლამენტს შიგნით ვეღარ მოხდეს თანამშრომლობა?***

– ამაზე საუბარი საერთოდ არ ყოფილა. ყველას ლიდერობა უნდა. ყოველთვის ამას ვამბობ, რომ სულაც არ წარმოადგენს სიამოვნებას ოპოზიციონერი დეპუტატობა. ვერანაირი სარგებელი ქვეყნისთვის ვერ მოგაქვს. შიგნით არის ჩხუბი, დავიდარაბა, გამიშვი და გამატარე ხელისუფლებასთან, რომელიც აბსოლუტურად არ გისმენს და არანაირ ყურადღებას არ გაქცევს.

ეს არის ძალიან მძიმე სამუშაო, თავს ლაფს გასხამენ,

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# ბექან ნათელაშვილი: „ივანიშვილი საპატრიარქოში მივიდა, როგორც დამნაშავე შემთხვევის ადგილზე“

## „პატრიარქიც ისეთივე უნდათ, როგორიც პარლამენტის თავმჯდომარე და გენპროკურორი ჰყავთ“

მარიამ მჭედლიშვილი

„ახალი თაობა“ მიმდინარე პროცესებზე ესაუბრა ლეიბორისტული პარტიის წევრ **ბექან ნათელაშვილს**.

***– 3 ნოემბერს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ესტუმრა ბიძინა ივანიშვილი. მან აღნიშნა, რომ პატრიარქის წინააღმდეგ გამოთქმული უპასუხისმგებლო ბრალდებები არ არის მხოლოდ შეტევა ეკლესიაზე. ეს მიმართულია ზოგადად სახელმწიფოს წინააღმდეგ. როგორ შეიძლება შეფასდეს ეს ნაბიჯი?***

– დავიწყებ იმით, რომ კრიმინალისტიკაში დადგენილია ქცევის ისეთი წესი, როცა დამნაშავეს იზიდავს სივრცე, სადაც მან დანაშაული ჩაიდინა. ივანიშვილი საპატრიარქოში მივიდა, როგორც დამნაშავე შემთხვევის ადგილზე. ამ თემაზე კიდევ ერთ მაგალითს მოვიყვან – სისხლიანმა შაჰ-აბასმა სამძიმრის წერილი გამოუგზავნა თეიმურაზ პირველს და წუხილი გამოთქვა ქეთევან დედოფლის გამო. როგორ აწამა შაჰ-აბასმა ქეთევან დედოფალი, ყველამ იცის.

***– ამით რისი თქმა გსურთ?***

– იმის, რომ საპატრიარქოსა და პატრიარქის წინააღმდეგ ბრძოლა ბიძინა ივანიშვილის დაგეგმილია. მან მოაწყო ეს ყველაფერი, შემდეგ კი პატრიარქს ესტუმრა. ივანიშვილი საპატრიარქოს უპირისპირდება იმის გამო, რომ ეს ძლიერი ინსტიტუტია. ივანიშვილი პუტინის იარაღია და ასრულებს კრემლის დავალებებს. პუტინს არ უნდა, რომ საქართველოს საპატრიარქო მძლავრი იყოს.

***– პირადად პატრიარქსაც უპირისპირდებიან?***

– ცხადია. მიუხედავად იმისა, რომ პატრიარქი ასაკში შევიდა და ცდილობს მშვიდობიანი იყოს ყველასთან, იგი ხელისუფლებას ყველაფერში არ ეთანხმება. გარეგნულად ეს უთანხმოება არ ჩანს. გარეშე თვალი ამას ვერ ამჩნევს. კათოლიკოს-პატრიარქი პიროვნებაა და ივანიშვილს პიროვნებები არსად არ სჭირდება. ამ ხელისუფლებაში პატრიარქიც ისეთივე უნდათ, როგორიც პარლამენტის თავმჯდომარე და გენპროკურორი ჰყავთ. ხომ ხედავთ, ეს როგორი ფიგურები არიან? თალაკვაძე და თადუმაძე დამოუკიდებლად ერთ სიტყვას ვერ იტყვიან. თადუმაძე უდიპლომოცაა. ყალბი დიპლომი აქვს. ამ კაცს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარედაც გვიმზადებენ. ივანიშვილს ერთ რამეში ვერ შევედავები – მან სწორად აღნიშნა, რომ ქმედებები პატრიარქის წინააღმდეგ მიმართულია ზოგადად სახელმწიფოს წინააღმდეგ. ამან შეიძლება მიგვიყვანოს სახელმწიფოს დაშლამდე. ღმერთმა ნუ ქმნას, რომ ეს მოხდეს.

***– ჭყონდიდის ყოფილი მიტროპოლიტი პეტრე მოითხოვს წმინდა სინოდის სხდომის ღია ეთერში ჩატარებას.***

– როგორი დამოკიდებულება მაქვს ყოფილ მიტროპოლიტ პეტრეს მიმართ, სხვა საკითხია. შეიძლება მისი ქმედებები არ მომწონდეს, მაგრამ ეს წინადადება მისაღებია. ლაივში წმინდა სინოდის სხდომის გამართვა გონივრული იქნებოდა. ეს თვითონ ეკლესიას წაადგებოდა. ყველა გამოკითხვით, საქართველოს მოსახლეობის 90%-ზე მეტი მართლმადიდებელია. მათგან ზოგი გულწრფელად მორწმუნეა, ზოგი – ფარისეველი. ლამის მთელი მოსახლეობა ეკლესიის ნაწილად თვლის თავს, საპატრიარქო კი დახურული ინსტიტუტია. ამის გამო უპასუხოდ რჩება ბევრი კითხვა. არაერთი მღვდელმთავარი იწვევს უნდობლობას.

***– რას გულისხმობთ?***

– მეუფეები ბერულ ცხოვრებას უნდა ეწეოდნენ. ბევრი მათგანი, ღვაწლის მაგივრად, ფუფუნებასა და მცონარებაში ცხოვრობს. თან როგორ ქვეყანაში?! იმ ქვეყანაში, სადაც 77 000 ბავშვი შიმშილობს. ეს ბავშვები მოკლებული არიან ზრდისთვის აუცილებელ ნივთიერებებს. მოხუცებიც არ არიან კარგ დღეში. დიდია უმუშევრობა. ამ ფონზე მღვდელმსახურების ნაწილი განცხრომაშია და თან კლანებს ქმნის. ეს კლანები იტალიურ მაფიას მაგონებს, რომელსაც „რვაფეხას“ გმირი კორადო კატანი ებრძოდა.



***– დიდი რეზონანსი გამოიწვია მსჯავრდებული დეკანოზის, გიორგი მამალაძის შესაძლო შეწყალების საკითხმა. სინოდი ამის შესახებ პრეზიდენტს მიმართავს.***

– შეწყალებაზე ძალიან ძნელია პროგნოზის გაკეთება. არ ვიცი, როგორ მოიქცევა პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი, რომელიც არაპროგნოზირებადიცაა და ამავე დროს, არ არის დამოუკიდებელი ფიგურა. მე არც ზურაბიშვილისა მესმის და არც იმ ამომრჩევლებისა, რომლებმაც შარშან საპრეზიდენტო არჩევნებზე 48 შემოხაზეს. ამ ადამიანის პრეზიდენტობა როგორ შეიძლებოდა! ესაა დიდი შარი.

***– ასე რატომ გგონიათ?***

– ამ ადამიანს საბავშვო ბაღის გამგეობასაც არ ვანდობდი. სადაც ყოფილა, ვერსად გამოიჩინა თავი. გარდა ამისა, პოლიტიკოსები, რომლებსაც მასთან შეხება ჰქონდათ, ამბობენ, რომ სალომე ზურაბიშვილს გამარჯობას ვერ ათქმევინებდი. ასეთი ადამიანის პრეზიდენტობა შეიძლებოდა? ივანიშვილმა შეარჩია იმავე მიზეზით, რა მიზეზითაც თალაკვაძე და თადუმაძე. ივანიშვილი რუსეთის დავალებით ანგრევს ინსტიტუტებს და თანამდებობებზე სვამს მარიონეტებს. ყველა ფიგურა ანგარიშვალდებულია ივანიშვილის წინაშე.

***– რუსეთი ღიად და ფარულად შემოსულია საქართველოში. მოსკოვის შემდეგი მიზანი რა შეიძლება იყოს?***

– რუსეთს უნდა, რომ თავისი საზღვარი სარფში გადიოდეს. პუტინს ძლიერი საქართველო ძლიერი ინსტიტუტებით არ სჭირდება. რუსებს ვერ მოუნელებიათ, რომ საბჭოთა კავშირი დაიშალა და საქართველო რუსეთის შემადგენლობაში არ არის. პუტინმა საბჭოთა კავშირის დაშლას შეცდომა უწოდა.



**შევიძენ**

ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს და ფაიფურს.

ტელ: 598-43-98-57

# ნიკა ჩიტაძე: „ხელისუფლება და პატრიარქი რაღაცნაირად მოკავშირეები არიან“

## ანაფორის ტარება მართლმადიდებლობისთვის საკმარისი არ არის

იაგო ნაცვლიშვილი

მას შემდეგ, რაც სინოდის სკანდალური სხდომა ვიხილეთ, პოლიტიკოსების ნაწილმა რიგ-რიგობით გამოხატეს პატრიარქის მიმართ მხარდაჭერა. გარდა ამისა, ხელისუფლების წარმომადგენლები შეხვდნენ პატრიარქს.

არის თუ არა ეს პოპულიზმი წინასაარჩევნოდ პოლიტიკოსების მხრიდან და აჩენს თუ არა ეჭვებს ხელისუფლებისა და საპატრიარქოს გარიგების თაობაზე? – ამ და სხვა საინტერესო საკითხების შესახებ „ახალი თაობის“ კითხვებს პოლიტოლოგი **ნიკა ჩიტაძე** პასუხობს:

***– ვნახეთ პროცესები ეკლესიაში, რასაც მოჰყვა განცხადებები და პოლიტიკოსების მხრიდან შეფასებები, მხარდაჭერა პატრიარქის მიმართ და ა.შ. რას ნიშნავს ეს, პოპულიზმია თუ რასთან გვაქვს საქმე?***

– მე ასე მგონია, რომ პოლიტიკოსებმა თავი უნდა შეიკავონ ეკლესიაში მიმდინარე მოვლენების კომენტარებისგან. ან თუ აკეთებენ განცხადებებს, მაშინ არც ერთი მხარის პოზიცია არ უნდა გამოხატონ. კი ბატონო, პატრიარქი პატივსაცემი პიროვნებაა, მაგრამ სხვა სასულიერო პირებსაც აქვთ თავისი მოსაზრება და ისინიც პატივისცემას იმსახურებენ. ვინ რეალურად არის მორწმუნე და ვინც ემსახურება ქართულ ეკლესიას და ჭეშმარიტი მართლმადიდებელია, პატივისცემას იმსახურებს, მაგრამ ბუნებრივია, რომ ანაფორის ტარება მართლმადიდებლობისთვის საკმარისი არ არის. რეალურად უნდა ემსახუროს სასულიერო პირი რწმენას და ქვეყანას.

იქიდან გამომდინარე, რომ ეკლესიის და სახელმწიფოს ფუნქციები ერთმანეთისგან გამიჯნულია, რაც საქართველოს უზენაესი კანონით – კონსტიტუციით არის განსაზღვრული. ვიცით, რომ სახელმწიფო აღიარებს ეკლესიის განსაკუთრებულ როლს და ამასთანავე საუბარია მათი უფლება-მოვალეობების გამიჯვნაზე. ამიტომ ასე მგონია, რომ პოლიტიკოსებმა თავი უნდა შეიკავონ ამგვარი შეფასებებისგან და არც ერთი მხარის პოზიცია არ უნდა დაიკავონ. ისინი უნდა მიესალმონ რეფორმებს ეკლესიაში, იმისათვის, რომ ეკლესიის წიაღში არსებული პრობლემები მოგვარდეს მშვიდობიანი გზით.



**„რადგან წყარო არ გვაქვს, ვერ ვიტყვით ცალსახად, რომ საპატრიარქო ხელისუფლებას გაურიგდა, მაგრამ ურთიერთინტერესები არსებობს“**

ამასთანავე, მე მგონია, რომ ეკლესიამაც თავი უნდა შეიკავოს პოლიტიკურ პროცესებში ჩარევისგან.

***– ჩანს, რომ გადაჯაჭვულია დღეს ეკლესია და პოლიტიკა ერთმანეთში?***

– დიახ. მე მგონია, რომ დღეს გადაჯაჭვულია ეკლესია და პოლიტიკა ერთმანეთში. გადაჯაჭვულია იმის გამო, რომ პატრიარქი განიხილება, როგორც ხელისუფლების მხარდამჭერი და ამიტომ მას უცხადებენ სოლიდარობას, ხოლო ვინც მას უპირისპირდება, მას რატომღაც განიხილავენ ოპოზიციის მხარდამჭერებად.

***– პატრიარქის მიმართ მხარდაჭერა არა მხოლოდ ხელისუფლებამ არამედ ოპოზიციის რიგმა წარმომადგენლებმაც გამოხატა. ეს ნიშნავს იმას, რომ ეს საკითხი არჩევნებთან არის დაკავშირებული?***

– არა მგონია, რომ არჩევნებს უკავშირდებოდეს. ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ სამწუხაროდ, ქართულ ეკლესიაში აქამდეც არსებობდა განხეთქილება თუ აზრთა სხვადასხვაობა და ამან ღიად იჩინა თავი.

***– ამ შემთხვევაში ვკითხულობ იმას, რომ პოლიტიკოსთა განცხადებები თუ არის დაკავშირებული არჩევნებთან?***

– ნაწილობრივ შეიძლება ითქვას, რომ ასეა. რადგან, როგორც ჩანს, პოლიტიკოსები თვლიან, რომ პატრიარქის კრიტიკა არ იქნება მართებული მათი მხრიდან და შესაძლოა ამან პატრიარქის რეიტინგის დაცემა გამოიწვიოს. ამას უყურებენ და რეიტინგს უფრთხილდებიან. შეიძლება არჩევნები სულ არ ახლოვდებოდეს, მაგრამ მაინც მოერიდონ პატრიარქის კრიტიკას. არც ისე ახლოა ახლა არჩევნები, რომ ახლა მისმა კრიტიკამ ოპოზიციური თუ სახელისუფლებო პარტიის ვარდნა იმდენად გამოიწვიოს, რომ არჩევნებზე გავლენა მოახდინოს, მაგრამ მაინც მოერიდებიან, როცა არ უნდა იყოს არჩევნები.

***– იმასაც ხომ არ ხედავთ, რომ შესაძლოა გარკვეული გარიგება მოხდა ხელისუფლებასა და საპატრიარქოს შორის? ვგულისხმობ იმას, რომ 1 კვირის წინ მეუფე იაკობმა სკანდალური განცხადებები გააკეთა და თქვა, როგორ ცდილობდა „ოცნება“ პატრიარქის გადაყენებას. უცებ ეს ამბავი სრულდება მორიგებით და პატრიარქს ხვდებიან გახარია – ივანიშვილი... არაფერზე მეტყველებს ეს?***

– რა თქმა უნდა, გარკვეულწილად რაღაცაზე მეტყველებს. აღნიშნული ფაქტი არის იმის მიმანიშნებელი, რომ წამყვანი პოლიტიკოსები პატრიარქის და მისი გუნდის მხარეს არიან. ასე შეიძლება ავხსნათ ეს შეხვედრა და სწორედ ასეთი შთაბეჭდილება დამრჩა.

***– გარიგების ნიშნებს ვერ ხედავთ?***

– იცით რა? ამისგან თავს შევიკავებ. იმიტომ, რომ ამის დამამტკიცებელი ფაქტები უნდა იყოს, რომ ასეთი დასკვნა გავაკეთო. ყოველ შემთხვევაში, როდესაც პატრიარქს სოლიდარობას უცხადებენ, აქ რაღაცნაირად ჩანს, რომ ხელისუფლება და პატრიარქი რაღაცნაირად მოკავშირეები არიან.

მაგრამ, ვინაიდან ამ შეხვედრების შინაარსი უცნობია, ვერ ვიტყვით იმას, რომ გარიგება შედგა. როდესაც არ არსებობს წყარო, ვინც ამას დაადასტურებს, ამაზე ასე ხელაღებით ვერ გავაკეთებ განცხადებას.

***– ბრალი დასდეთ-მეთქი, ამ მიმართულებით არც მე გეკითხებით, მაგრამ ეჭვი ხომ არ ჩნდება?***

– გამორიცხული, რა თქმა უნდა, არ არის.

***– ხომ არ ეჭვობთ, რომ რამდენიმე თვის შემდეგ შესაძლოა საპატრიარქომ მიიღოს სახელმწიფოსგან დამატებითი მიწები, ან სხვა სახის დივიდენდები, ხოლო სასულიერო პირებმა მხარდაჭერა გამოხატონ „ოცნების“ მიმართ არჩევნებზე?***

– რეალობა ის არის, რომ როგორც წინა ხელისუფლების დროს, ისე ამ ხელისუფლების დროს, საპატრიარქოს ბიუჯეტი გაიზარდა. გაზარდეს მისი დაფინანსება, რადგანაც ვიცით, რომ ვარდების რევოლუციამდე მისი დაფინანსება სადღაც 900.000 ლარი იყო, ხოლო ნაციონალური მოძრაობის მმართველობის ბოლო წლებში 26 მილიონს მიაღწია, დღეს კი 26 მილიონს აჭარბებს. ამიტომაც, არ არის გამორიცხული. ამას ყველაფერს დრო გვაჩვენებს. თუ ეკლესიას გადაეცემა მიწები ან სხვა სახის ქონება და მეორე მხრივ, ეკლესია დააფიქსირებს მხარდაჭერას სახელმწიფოს მიმართ, მაშინ გვექნება საფუძველი ვილაპარაკოთ, რომ გარკვეული გარიგება მოხდა. ყოველ შემთხვევაში, იმაზე მაინც, რომ ურთიერთინტერესებთან გვაქვს საქმე. ამის შემდეგ გვექნება გარკვეული ანალიზის გაკეთების შესაძლებლობა.

დღეს იმაზე ცალსახად ლაპარაკი, რატომ მოხდა პატრიარქის და ივანიშვილის, ან გახარიას შეხვედრა, რთულია. ფაქტია, რომ ურთიერთინტერესები არსებობს ორივე მხარის მხრიდან.

***– ამ შეხვედრებს მხოლოდ ამ ურთიერთინტერესებით ხსნით?***

– იცით რა? ყველას აქვს თავისი ურთიერთინტერესები. მოდი პირდაპირ ვთქვათ, რომ ეკლესიაში არსებული პრობლემების მიუხედავად, საზოგადოებაში პატრიარქის მიმართ ინტერესი საკმაოდ მაღალია. მას აქვს საკმაოდ მაღალი ნდობა და ყველაზე მაღალი სანდოობით საზოგადოებაში მაინც ეკლესია სარგებლობს, ყოველ შემთხვევაში, მისი ნდობის მაჩვენებელი 80%-ს აჭარბებს. ამიტომ, ხელისუფლებას სურს იმის დემონსტრირება, რომ ის არის სოლიდარული პატრიარქის მიმართ, ხოლო მეორე მხრივ, ალბათ საპატრიარქოს სურს იმის ჩვენება, რომ ისინი ემხრობიან ხელისუფლების მიერ განხორციელებულ პოლიტიკას. შესაძლოა, ვალდებულადაც კი გრძნობენ ამის გამო თავს, ვინაიდან მათ „ქართული ოცნების“ პირობებშიც გაეზარდათ დაფინანსება.

# მამუკა გამყრელიძე: „ვერავინ ვერსაიდან ვერ გამრიცხავს!“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

პრემიერები დედას გაგინებენ, გაყვედრიან რაღაცა სისულელეებს, რაც არანაირ სიმართლეს არ შეეფერება და რა სასიამოვნოა ეს?!

მეორე საკითხია, როდესაც შენ იბრძვი გამარჯვებისთვის.

***– რისთვის იბრძვით? ხელისუფლების შესაცვლელად?***

– დიახ, უმრავლესობა უნდა გქონდეს ხელისუფლებაში. სხვა პროდასავლურ პარტიებთან ერთად უნდა შევქმნათ მთავრობა. ისე ბრძოლას რა აზრი აქვს?! რისთვის, პარლამენტარის სკამისთვის?! იმაზე კი არ უნდა იფიქრო, რამდენ მანდატს მოიპოვებ 2020-ში, არამედ იმაზე, რომ გაიმარჯვო!

თუ გაიმარჯვებ, გექნება შესაძლებლობა, შეცვალო სიტუაცია ქვეყანაში. აი, ამაზე უნდა ვიფიქროთ. მე ვფიქრობ, რომ გაერთიანებას მაინც არ აქვს ალტერნატივა. ერთი კაცის გამოკლებაც კი ამ გაერთიანებას უმძიმეს დარტყმას მიაყენებს, ეს იქნება ტრაგიკული. ხალხი დაკარგავს რწმენას და მომავლის იმედს, რომ ერთიანობა არ შეგვიძლია, ჩვენ ვერ ვახერხებთ ერთი ნიშნის გარშემო გაერთიანებას.

არ აქვს მნიშვნელობა, ვის რამხელა მხარდაჭერა აქვს. აქ აქვს მნიშვნელობა იდეას, აქ აქვს მნიშვნელობა მიზანს. ასეთი ლაპარაკი არასწორია, რომ გარიცხეს, რას ჰქვია გამრიცხეს?! იმასაც უნდა მიხვდნენ ალბათ, რომ ამ 12-სუბიექტიან გაერთიანებაში ყველას პარიტეტული ხმები აქვს. ნაციონალურმა მოძრაობამ აიღოს და გარიცხოს ვიღაცა, ასეთი რამე ვერ მოხდება!

***– შიგნით ნაციონალურ მოძრაობაში მიდის ქვეშა დინებები? მათ სურთ, რომ ცალკე გავიდნენ ამ არჩევნებში.***

– ეგ გასაგებია, მაგრამ მაინცდამაინც მე რატომ მებრძვიან?!

***– ალბათ იმიტომ, რომ ყოველთვის სიმართლის თქმა გიყვართ.***

– რბილად რომ ვთქვათ, უმართავი ადამიანი ვარ. ობიექტურობა მიყვარს და რა ვქნა. კარგსაც ვხედავ და ცუდსაც ვხედავ ყველა მხარეს. კი ბატონო, მე მესმის პარტიული დისციპლინა, როდესაც უმრავლესობა მიიღებს გადაწყვეტილებას, ის გადაწყვეტილება უნდა შეასრულო, მაგრამ არც ერთ პარტიაში არ ვყოფილვარ აქამდე და ეს ცოტა რთულია ჩემთვის.

როდესაც ჩამოყალიბდება ერთიანი მესიჯბოქსი, იმის იქით მერე აღარ გავალ. ახლა აბსოლუტურად თავისუფალი ვარ ჩემს განცხადებებში, გამონათქვამებში და ეს არავის საქმე არ არის. წინასაარჩევნო სამუშაო ჯერ არ დაწყებულა და არ ჩამოყალიბებულა.

ამ ეტაპზე ძალიან საინტერესო საქმით ვარ დაკავებული და საერთოდ არ ვაქცევ ყურადღებას მათ პოლიტიკურ დაპირისპირებას. გიორგი ვაშაძის ახალ საქართველოსთან ერთად ვაკეთებთ პრეზენტაციების ციკლს. რამდენიმე პრეზენტაცია ჩატარდა და ეს კიდევ გაგრძელდება.

***– თუ ერთი სუბიექტი მაინც გავიდა ამ გაერთიანებიდან, ეს ერთობა უკვე განწირულია კრახისთვის?***

– არავინ არავის არ გაუშვებს, მე ამაში დარწმუნებული ვარ. გაშვება აბსოლუტურად გამორიცხულია.

***– ნაციონალები გავლენ ცალკე, რადგან ისინი თვლიან, რომ მათთვის ცალკე ჯობია.***

– ეგ შეიძლება მოხდეს. თუმცა ამ ეტაპზე არ არის ეს მოცემულობა.

***– ამ ერთობისთვის ხმები მოაქვს ნაცმოძრაობას და აღარ სჭირდებათ ზედმეტ ტვირთად სხვა ოპოზიციური პარტიები. ასეთი შეფასებები მოვისმინე.***

– ნაცმოძრაობა როცა მარტო გავიდა, გაცილებით ნაკლები ხმა მიიღო, ვიდრე გაერთიანების სახით რომ გავედით. ეს ყველაფერი ხომ შედარებითია. გაერთიანების იდეას ალტერნატივა არ აქვს. ერთპარტიულობა და ერთი პარტიის დომინაცია ხალხმა უკვე ნახა, ნახა ისიც, რომ ამას არაფერი კარგი არ მოაქვს. გაერთიანების და კოალიციური მთავრობის მომხრეა საზოგადოება და არა – ერთპარტიული მმართველობის.

# „ცხინვალში კვალიფიციური სამედიცინო დახმარების მიღება შეუძლებელია“

გულიკო ბალაძე

ახალგორის რაიონში გასასვლელი საგუშაგო 2019 წლის 4 სექტემბერს ჩაიკეტა. გზის დაკეტვა საოკუპაციო რეჟიმის მხრიდან საქართველოს ხელისუფლების მიერ ჩორჩანა-წნელისის მიმდებარე ტერიტორიაზე საპოლიციო საგუშაგოს გახსნის საპასუხო გადაწყვეტილება იყო. მას შემდეგ რუსებისა და ოსების სამხედრო ძალებმა ხაშურის მუნიციპალიტეტში მთის ფერდობი დაიკავეს, ხოლო ყველა გამშვები პუნქტი ჩაკეტეს.

საოკუპაციო რეჟიმის ამ გადაწყვეტილებამ ყველაზე მეტად ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობა დააზარალა. საჭიროების შემთხვევაში ოკუპირებული ტერიტორიიდან შესაძლებელი იყო ავადმყოფების გადმოყვანა და მკურნალობა.

მას შემდეგ, რაც საგუშაგო ჩაიკეტა, ავადმყოფები იქიდან ველარ გადმოჰყავთ. ამის გამო ერთი ადამიანი უკვე გარდაიცვალა, ახალგორის რაიონის სოფელ იკოთის მკვიდრი მარგო მარტიაშვილი. ის ცხინვალში გადაიყვანეს, სადაც ვერ შეძლეს მისი გადარჩენა. პაციენტის ოჯახი ითხოვდა, რომ წითელი ჯვრის დახმარებით, თბილისის კლინიკაში გადაეყვანათ, თუმცა, საგუშაგოზე ცხინვალის ე.წ. უშიშროების კომიტეტის წევრებმა არ გაატარეს.

ამჟამად ახალგორში შესასვლელი გზა კვლავ ჩაკეტილია და იქიდან აქეთ ადამიანებს ისევ არ უშვებენ. ახლობლებს ოკუპირებული ტერიტორიიდან ავადმყოფების გადმოყვანის უფლებაც აკრძალული აქვთ და ცხინვალში გადაჰყავთ, სადაც მათი განკურნების შესაძლებლობა არ არის.

ორი დღის წინ, ახალგორში მცხოვრები 60 წლამდე ქალბატონი თამარ გიგაური ჭაში ჩავარდა და მრავლობითი დაზიანებები მიიღო. საჭირო გახდა სამკურნალოდ მისი აქეთ გამოყვანა, მაგრამ კვლავ ცხინვალში გადაიყვანეს.

„ახალი თაობა“ ახალგორის რაიონის გამგებელს, **ნუგზარ თინიკაშვილს** ესაუბრა.

***– ბატონო ნუგზარ, რატომ არ გამოუშვეს ახალგორიდან დაზარალებული ქალბატონი თამარ გიგაური სამკურნალოდ და როგორ მდგომარეობაში იმყოფება?***

– რატომ არ გამოუშვეს, არ ვიცი. მაგათსას რას გაიგებ, მაგრამ ძალიან რთულ მდგომარეობაში იმყოფება. დაზიანებები მიიღო – ხელი მოტეხილი და მრავლობითი დაზიანებები აქვს. ამჟამად ცხინვალში იმყოფება.

ოჯახის სურვილია, რომ ჩვენს კონტროლირებად ტერიტორიაზე გადმოიყვანონ და სათანადო კვალიფიციური სამედიცინო დახმარება მიიღოს.

***– ხომ არ განუმარტავთ, რატომ არ უშვებენ აქეთ?***

– არა. ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის არაფერი უთქვამთ. ეგენი განმარტებებს არ იძლევიან.

***– რაც გამშვები პუნქტი ჩაიკეტა, მას შემდეგ არ გახსნილა? არც იქით უშვებენ ადამიანებს და არც აქეთ?***

– დიახ. ორი თვე გახდა, რაც გზა ჩაკეტილია. მას შემდეგ არც აქედან და არც იქიდან მოქალაქეებს არ უშვებენ.



***– ე.ი. ჩორჩანაში ჩვენი ბლოკ-პოსტის გაკეთება და მაშინ გამწვავებული ვითარება გახდა გზის ჩაკეტვის მიზეზი?***

– სავარაუდოდ, გზის ჩაკეტვის მიზეზი ეგ არის.

***– როგორ ფიქრობთ, რის მიღწევა სურთ?***

– ვერ გეტყვით. არ ვიცი, მათთან კავშირი არ მაქვს და არ მისაუბრია. თუმცა, ძალიან ცუდი ფაქტია და ამ ყველაფერმა ძალიან მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა ჩვენი მოსახლეობა, რომელიც ჩაკეტილი საზღვრის იქით იმყოფება.

***– მას შემდეგ, საერთოდ, ვერავინ გამოდის და ვერავინ შედის?***

– დიახ, ვერავინ შედის და ვერავინ გამოდის. საერთოდ, ჩაკეტილია, არც შიგნით უშვებენ ვინმეს და არც – გარეთ.

***– ცხინვალში როგორი საავადმყოფო აქვთ და როგორი მომსახურება და სამედიცინო დახმარების როგორი შესაძლებლობებია.***

– საავადმყოფო შეიძლება კეთილმოწყობილი იყოს, მაგრამ იქ არ არის კვალიფიციური მედპერსონალი და არც სამედიცინო აპარატურა გააჩნიათ ისეთი, რომლითაც შესაძლებელი იქნება, ადამიანებს ნორმალური სამედიცინო დახმარება გაეწიოთ.

ცხინვალში არსებული სამედიცინო დაწესებულება ახლოსაც ვერ მივა ჩვენს სამედიცინო დაწესებულებებთან, შესაბამისად, ცხინვალში კვალიფიციური სამედიცინო დახმარების მიღება, პრაქტიკულად, შეუძლებელია.

***– ამის შესახებ ამბავი როგორ გაიგეთ, როგორ ხდება დაკავშირება?***

– ახალგორიდან თამარ გიგაურის დამ, ნუნუ გიგაურმა დამირეკა ტელეფონით და ამის შესახებ შემატყობინა.

***– შემთხვევა როგორ მოხდა, ქალბატონი ჭაში როგორ ჩავარდა?***

– ჭაში შემთხვევით ჩავარდა, ვერ დაინახა.

***– ახალგორში ჩვენი ტელეფონები მუშაობს?***

– ხან იჭერს, ხან – არა. ძირითადად მაგათი ფიქსის ტელეფონები მუშაობს. თუმცა, მაგთისა და ჯეოსელის სიგნალიც ვრცელდება, მაგრამ ტელეფონი ხან იჭერს, ხან – არა, ხშირად ბლოკავენ და ცუდად მუშაობს.

***– ცხინვალის საავადმყოფოში ქართველებს როგორ ექცევიან? იქ რაიმე პრობლემები ხომ არ აქვთ?***

– არა, რაიმე ისეთი არაკორექტული და ცუდი დამოკიდებულების შესახებ არავის არაფერი უთქვამს, ცოდვასა და ტყუილს ვერ ვიტყვი. რაიმე ისეთი ცუდი დამოკიდებულების შესახებ არავის არაფერი უთქვამს.

***– ანუ პოლიტიკური პრობლემები უფრო ზღუდავს მოსახლეობას, ვიდრე შიდა ურთიერთობები?***

– რა თქმა უნდა, თავისთავად.

# იუსტიციის საბჭომ სალომე ზურაბიშვილს ანა დოლიძისთვის უფლებამოსილების შეწყვეტა ოფიციალურად მოსთხოვა




იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, საქართველოს პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილს, საბჭოს არამოსამართლე წევრის, ანა დოლიძისთვის უფლებამოსილების შეწყვეტის თაობაზე ოფიციალურად მიმართა.

სალომე ზურაბიშვილს აღნიშნულის შესახებ მიმართვა 1 ნოემბერს წარედგინა.

იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ ანა დოლიძისთვის უფლებამოსილების შეწყვეტის თაობაზე 25 ოქტომბერს, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომაზე განაცხადა.

როგორც საბჭოს მოსამართლე წევრმა დიმიტრი გვრიტიშვილმა საკითხის ინიცირებისას აღნიშნა, პრეზიდენტისადმი მიმართვის საფუძველია ის, რომ ანა დოლიძე ეწევა პოლიტიკურ საქმიანობას, რაც იუსტიციის საბჭოს წევრის სტატუსთან შეუთავსებელია.

მისი თქმით, დოლიძემ არაერთხელ გააკეთა პოლიტიკური განცხადებები და მოწოდებები, მათ შორის მოითხოვა პრემიერ-მინისტრ გიორგი გახარიას გადადგომაც.

ამასთან, იუსტიციის საბჭოს წევრების მიერ პრეზიდენტისადმი გაგზავნილ წერილში ნათქვამია, რომ „ანა დოლიძე სისტემატურად არღვევს საჯარო მოსამსახურის ეთიკას და მისი ქმედებები არა მხოლოდ სასამართლო ხელისუფლების დისკრედიტაციისკენაა მიმართული, არამედ ზიანს აყენებს მის თანამდებობაზე დამნიშნავ მნიშვნელოვან სახელმწიფო ინსტიტუტს, საქართველოს პრეზიდენტსაც“.

ანა დოლიძისთვის უფლებამოსილების შეწყვეტას მხარს უჭერს საბჭოს 11 წევრი, ხოლო აღნიშნულის შესახებ დოკუმენტს ხელი არ მოაწერა და მხარდაჭერა არ გამოთქვა ორმა არამოსამართლე წევრმა: ირმა გელაშვილმა და ნაზი ჯანეზაშვილმა.

იუსტიციის უმაღლეს საბჭოში ანა დოლიძე პრეზიდენტის მიერ დანიშნული წევრია. დოლიძე საბჭოს წევრად საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის, გიორგი მარგველაშვილის გადაწყვეტილებით 2018 წელს დაინიშნა.

# „გაათავისუფლეთ მინდია ლავასოღლი!“

## ბათუმში თურქეთის საკონსულოსთან აქცია გაიმართა

გუშინ, 4 ნოემბერს, მინდია ლავასოღლის ოჯახის წევრებმა და ახლობლებმა ბათუმში, თურქეთის საკონსულოსთან აქცია გამართეს და კონსულთან შეხვედრა მოითხოვეს.

აქციის მონაწილეების თქმით, უნდა მოხდეს განმარტება, რატომ არის მინდია ლავასოღლი დაკავებული. მათივე ინფორმაციით, მინდია ლავასოღლი თურქეთის საპატიმროში მძიმე მდგომარეობაში იმყოფება.

– ჩვენ ვაპირებთ აქცია გავაგრძელოთ, რომელიც მიმართულია ერთი მიზნისკენ – გავერკვეთ, სად არის მინდია ლავასოღლი. რამდენიმე ხნის განმავლობაში ქართული მხარისგან ვცდილობდით მოგვეღო პასუხი, რატომ ხდება მინდია ლავასოღლის ინტერესების შელახვა და რატომ არის დაკავებული იგი თურქეთში.

ქართულმა მხარემ განგვიცხადა, რომ თურმე ისინი არაფერ შუაში არ არიან და პასუხი უნდა მოვთხოვოთ თურქეთის რესპუბლიკას, ამიტომ მოვედით აქ. დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს მინდია ლავასოღლის გათავისუფლება, ამ ადამიანს არც ბრალი აქვს წარდგენილი და არც მისჯილი არ აქვს.

გამოდის, რომ ეს ადამიანი უკანონოდ არის დაკავებული. ჩვენი მოთხოვნაა, რომ შევხვდეთ გენერალურ კონსულს. გენერალურ კონსულს ერთხელ შევხვდით, თუმცა სამწუხაროდ, ეს პრობლემა ვერ მოგვარდა, – განაცხადა მინდია ლავასოღლის ადვოკატმა ალექსანდრე კობაიძემ.

ამასთან, როგორც ლავასოღლის დამ თქვა, იგი მოითხოვს პასუხს, რატომ არის დაკავებული მისი ძმა ერთი წლის განმავლობაში.

– ჩემი ძმა მძიმე პირობებშია. იგი საქართველოს მოქალაქეა. აქ ბანდის წევრები არ არიან, აქ არის ჩემი ოჯახი და მეგობრები. მე გუშინ ჩამოვფრინდი თურქეთიდან, ჩემი ძმა გაურკვეველ სიტუაციაშია. ჩემგან ელოდება პასუხს. გამცენ პასუხი, რატომ ზის ერთი წელია, – განაცხადა ლავასოღლის დამ.

# პროკურატურამ გია უდესიანის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო

## ემზარ ლიპარტელიანი: „თბილისში, აფთიაქში დამიჭირეს, გადამიგრიხეს ხელები და წამომიყვანეს“



საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ, უძრავი ქონებისა და სამეწარმეო ორგანიზაციის წილების გამოძალვის, ასევე თავისუფლების უკანონო აღკვეთის ორგანიზების ფაქტებზე გია უდესიანის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო.

ამის შესახებ გუშინ, 4 ნოემბერს, გენერალურ პროკურატურაში გამართულ ბრიფინგზე გახდა ცნობილი.

პროკურატურის განცხადებით, დევნა დაიწყო საქართველოს სსკ-ის 181-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით და 24, 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით.

ასევე, სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო გამოძალვაში მონაწილე ზაზა გუგავას მიმართ, საქართველოს სსკ-ის 181-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით.

საქმეზე ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 2009 წლის 9 ნოემბერს, გ.უ.-ს ორგანიზებით, ამ ეტაპზე დაუდგენელმა პირებმა, ბიზნესმენი ემზარ ლიპარტელიანი ძალადობის გამოყენებითა და მუქარით მოიტაცეს რუსთაველის გამზირზე მდებარე ერთ-ერთი აფთიაქიდან, იძულებით მოათავსეს იქვე მყოფ ავტომანქანაში, აღუკვეთეს თავისუფლად გადაადგილების უფლება და მისივე ნების საწინააღმდეგოდ, გადაიყვანეს „ზაჰესში“ მდებარე საბაჟო ტერმინალში, სადაც გ.უ. და ზ.გ. იარაღის მუქარითა და სხვა უკანონო ზემოქმედებით მოითხოვდნენ მისგან ქონების დათმობას მათთვის სასურველ პირზე გადაფორმების გზით. დანაშაულებრივი მიზნის მისაღწევად, გ.უ.-მ ასევე ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა პრაქტიკულად თავისუფლებააღკვეთილ ე.ლ-ს. მასვე განუცხადა, რომ იყო იმჟამინდელ შინაგან საქმეთა მინისტრთან დაახლოებული პირი და უკან არაფერზე დაიხევდა.

მუქარისთვის მეტი დამაჯერებლობის მისაცემად, ადგილზე მიიყვანეს შსს-ს მაღალჩინოსანი დ.ტ., წარუდგინეს შს მინისტრის მოადგილედ და მისი თანდასწრებით მოითხოვდნენ ქონების გადაფორმებას, რისთვისაც ადგილზე ასევე მიიყვანეს ნოტარიუსი.

გ.უ.-ს და ზ.გ.-ს დანაშაულებრივი მოქმედების შედეგად, ე.ლ.-მ შპს „ბარდნალაში“ მისი კუთვნილი 30%-იანი წილი (ნომინალური ღირებულებით 10.280 ლარი) და მის პირად საკუთრებაში არსებული, ცაგერის რაიონის სოფელ ჩქუმში მდებარე მიწის ნაკვეთი (ფართობით 3.998 კვ.მ) მასზე არსებული შენობა-ნაგებობებით (ღირებულებით 7.000 ლარი), გადააფორმა მოქალაქე მ.ც.-ზე ისე, რომ სანაცვლოდ თანხა არ მიუღია.

იმის გამო, რომ უძრავი ქონება საჯარო რეესტრში კვლავ ე.ლ.-ს სახელზე იყო აღრიცხული, 2009 წლის 15 დეკემბერს კვლავ დაუკავშირდა ზ.გ. და აიძულა ერთხელ უკვე მ.ც.-ზე გაყიდული უძრავი ქონების რ.ქ.-ზე მიყიდვა. ე.ლ.-მ ეს მოთხოვნაც შეასრულა და ამჯერად რ.ქ.-ს მიჰყიდა ცაგერის რაიონის სოფელ ჩქუმში მდებარე მიწის ნაკვეთი (ფართობით 3.998 კვ.მ) მასზე არსებული შენობა-ნაგებობებით ისე, რომ, როგორც 11 ნოემბრის შემთხვევაში, თანხა არ მიუღია.

***

გუშინვე ინტერპრესნიუსთან კომენტარი გააკეთა ემზარ ლიპარტელიანმა.

– 2007 წელს პარტნიორთან ერთად ავაშენე ქარხანა და საქმიანობა დავიწყე, გავუშვი ქარხანა და ამის მერე დაიწყო უდესიანისა და მისი „სასტავის“ მხრიდან დევნა. ჩემს უშუალო პარტნიორთან, ქურასბედიანთან უფლებები ჩამომართვეს. როცა მქონდა ქარხნის გახსნა, პრეზენტაცია, რეკლამა მინდოდა გამეკეთებინა, მზად ვიყავი და ქურასბედიანს დავუძახე, რომ ოდესიდან ჩამოსულიყო. უცებ მოვიდნენ, 15 წუთში არიეს-დარიეს, ჩამოიყვანეს ის კაცი...

უდესიანმა მითხრა, რომ მე ვარო და ამ კაცთან, ქურასბედიანთან შენ საქმე არ გაქვსო. ეს ჩემი ახლობელია, მოატყუე და რად უნდოდა აქ ქარხნის აშენებაო. ამის მერე შენ ქურასბედიანთან საქმე არ გექნებაო, მაშინ, როცა უშუალოდ მასთან, ქურასბედიანთან მქონდა მორიგების ამბავი და ჩემი პარტნიორი იყო. 51 პროცენტი ჩემი და გარკვეული თანხები მას უნდა ჩაედო.

ჩემს პარტნიორს ვუთხარი, რა ხდებამეთქი, ვინ არის ეს ხალხი? აღარ დამანებეს ქურასბედიანთან საუბარი და მითხრეს, აწი ჩემთან გექნება საქმეო. წავიდა ლაპარაკი, მერაბიშვილი და ამბები... აგიყვან „ვერტალიოტებით“ და გაგაფრენ, იარაღებით ყელში გარჭობილი, ამას უშუალოდ უდესიანი მეუბნებოდა. წამოხვალ თბილისში და იქ დაგელაპარაკები, როგორც საჭირო არისო.

ამ დროს ცაგერში ვიყავით, სადაც ქარხანა იყო. მერე წავიდნენ თბილისში და იქიდან დაიწყეს შუღლი და დევნა. მეც, სიმართლე გითხრათ, აღარ დავინტერესდი, გავუბერე ჩემებურად, შენ ვინ ხარ, არ მაინტერესებს-მეთქი და არც ერთს არ დავეკონტაქტე. მერე ოფიციალურად ვემალებოდი ამათ, – გაიხსენა ლიპარტელიანმა.

მისივე თქმით, საბოლოოდ 2009 წელს მაინც შეძლეს მისი პოვნა და იძულებით ქარხნის წილები სხვაზე გადააფორმებინეს.

– მერე, 2009 წელს, თბილისში, აფთიაქში დამიჭირეს, გადამიგრიხეს ხელები და წამომიყვანეს, გამიყვანეს ვაშლიჯვარში, მერე ქუთაისში ჩამიყვანეს. მეორე დღეს გადამაფორმებინეს.

იყო იძულებები და იარაღის მუქარა, მთელი ამბები. გადამაფორმებინეს ვინმე მალხაზ ცარციძეზე, შემდეგ ცარციძისგან ერთი თვის შემდეგ, ანუ 9 ნოემრიდან 15 დეკემბერს, უკვე ისევ იმ ქურასბედიანის ძმაზე გადამაფორმებინეს. რატომ, ეს გაუგებარია.

დღეს, როგორც იქნა, გადაწყდა, რომ გადაეცეს სასამართლოს ეს საქმე ალბათ, დანარჩენი გაირკვევა. დაგვიანდა, რა თქმა უნდა, ბევრი რამ არ ჩანს, მაშინდელი სიტუაციები. მაინც არის იმდენი რამ, რომ გამოჩნდეს, რამდენ სიყალბეს და ძალადობას ჰქონდა ადგილი, – დასძინა ემზარ ლიპარტელიანმა.

# ხათუნა სალუქვაძეს ბინის მეპატრონე ვილნიუსში ფულს სთხოვს

## რა პრობლემა შეექმნა საქართველოს ყოფილ ელჩს ლიეტუვაში



მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ ლიეტუვაში საქართველოს ყოფილი ელჩი ხათუნა სალუქვაძე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევაშია მხილებული.

– ეს არის აბსოლუტურად არასწორი, ტყუილი, თითიდან გამოწოვილი ამბავი. ხოლო ის ფაქტი რატომ შეფასდა სკანდალად და გადაგდებად, ჩემთვის მეტყველებს, რომ ამაში გარკვეული ძალები იყვნენ დაინტერესებული, რომ წარმოეჩინათ ეს ფაქტი.

ბინის მეპატრონემ შეიტანა სარჩელი, რომ მას მიეცა საფუძველი, თავისი არაკეთილსინდისიერი განზრახვა მოეყვანა სისრულეში და მოეთხოვა მეტი თანხა, რაც მას ეკუთვნოდა, გამომდინარე იქიდან, რომ ჩემი ლიტვიდან წამოსვლის თარიღი რამდენჯერმე შეიცვალა, ყველა გადასახდელი, რომელიც რეგულირდება მხოლოდ კონტრაქტით მეპატრონესთან, გადახდილია, – განუცხადა „კურიერს“ ხათუნა სალუქვაძემ.

სალუქვაძე ამბობს, რომ აუცილებლად უჩივლებს იმ სააგენტოს, რომელმაც დაწერა, რომ ვილნიუსის სასამართლომ მას ბინის ქირისა და ჯარიმების გადახდა დააკისრა. სალუქვაძის თქმით, სასამართლოს გადაწყვეტილება ჯერ არ გამოუტანია.

ბინის მეპატრონესა და მას შორის დაძაბულობა 2018 წლის ივლისიდან დაიწყო. ბინაში, სადაც ელჩი ოჯახთან ერთად ცხოვრობდა, გაძარცვეს და რამდენიმე ათასი ლარის ღირებულების ნივთები წაიღეს. სალუქვაძე ამბობს, რომ ამის შემდეგ მეპატრონეს უსაფრთხოების ზომების მიღება სთხოვა. საპასუხოდ კი სახლის პატრონმა, მანუელ რუის გარსიამ, მას დამატებითი თანხის გადახდა მოსთხოვა. აქედან გამომდინარე, მანუელ რუის გარსიას მიეცა საფუძველი, თავისი არაკეთილსინდისიერი განზრახვა მოეყვანა სისრულეში და მოეთხოვა მეტი თანხა, ვიდრე მას ეკუთვნოდა. ლიტვურმა გამოცემამ დაწერა, რომ ბინის მფლობელი, სადაც სალუქვაძე ლიტვაში დიპლომატიური მისიის დროს ცხოვრობდა, სალუქვაძისგან 8 ათასი ევროს ქირის საფასურს, 150 ევროს ჯარიმებსა და 1.500 ევრომდე მოსაკრებლის ანაზღაურებას ითხოვდა. მედიის ცნობით, სასამართლომ გარსიას მოთხოვნა დააკმაყოფილა. ამავე გამოცემის ინფორმაციით, ხათუნა სალუქვაძეს განაჩენის გასაჩივრების უფლება ჯერჯერობით არ გამოუყენებია და დავალიანებასაც უსაფუძვლოდ მიიჩნევს.

ხათუნა სალუქვაძე ლიეტუვაში საქართველოს ელჩის პოსტს თითქმის 6 წლის განმავლობაში იკავებდა. მან დიპლომატიური საქმიანობა ლიეტუვაში მიმდინარე წლის მარტში დაასრულა.

ამ პოზიციაზე იგი ლევან ღვაჩლიანმა შეცვალა.

# პაატა მაჭარაშვილი გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლეს

სიღნაღის რაიონულმა სასამართლომ სოფელ მირზაანის რწმუნებულის შვილის დაჭრაში ბრალდებული პაატა მაჭარაშვილი 10.000 ლარის სანაცვლოდ გაათავისუფლა.

სასამართლომ მაჭარაშვილს გირაოს უზრუნველყოფის ვადა 30 დღით განუსაზღვრა.

– მე თავს დამნაშავედ არ ვთვლი, ვაღიარებ, რომ განვახორციელე გასროლა, რადგან მათ ჩემს ეზოში მომაყენეს შეურაცხყოფა და ისე დატოვეს ტერიტორია, რომ პასუხი ვერ გავეცი. მოითხოვეს ჩემგან ორი ტომარა ხორბლის შეძენა, რაც შევთავაზე, არ მოეწონათ და სიტყვიერად დამიპირისპირდნენ. ხელი მკრეს, წავიქეცი, ვცადე იქვე დადებული ნიჩბით თავის დაცვა, ამ დროს მცემეს. დაზიანების მიყენება არ მინდოდა, მე მანქანის შეჩერება მინდოდა მხოლოდ, – აღნიშნა ბრალდებულმა.




# ახალქალაქში ეკლესია მეორედ დაარბიეს

ახალქალაქში, სოფლების ხულგუმოსა და ბავრასთან ახლოს მდებარე სალოცავში ხატები და რელიგიური ნივთები კიდევ ერთხელ, უკვე მეორედ დააზიანეს. სალოცავი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია და აქ სომხური ეკლესიის მრევლი დადის.

სალოცავი, სადაც მსგავსი შემთხვევა 3 აპრილსაც მოხდა, კიდევ ერთხელ დაარბიეს. დაზიანებულია ქრისტიანული ხატები და რელიგიური საგნები.



რელიგიური სიწმინდეების დაზიანების ფაქტის ამსახველი ფოტოები და ვიდეო სოციალურ ქსელში ერთ-ერთმა ადგილობრივმა განათავსა. ახალგაზრდებმა ეკლესია დაასუფთავეს და დაალაგეს. პირველი შემთხვევის დროს, რომელიც აპრილში მოხდა, შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება სსკ-ის 259-ე სეკუნდა მუხლის პირველი ნაწილით დაიწყო, რაც „კულტურული მემკვიდრეობის საქართველოს კანონმდებლობით დაცული ძეგლის დაზიანებას ან განადგურებას გულისხმობს“. გამოძიების შედეგები ამ დრომდე ცნობილი არ არის.

მე-13 საუკუნეში აგებულ სალოცავს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი 2018 წლის 16 მაისს მიენიჭა.

# ფოთში სატვირთო მანქანა ამობრუნდა

## დაშავდა მძღოლი

ფოთში მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად, ერთი ადამიანი დაშავდა. თვითმხილველების თქმით, სატვირთო ავტომობილის მძღოლმა საჭე ვერ დაიმორჩილა და ამოტრიალდა.

სატვირთოს დაშავებული მძღოლი სასწრაფო დახმარების ჯგუფმა ფოთის ჰოსპიტალში გადაიყვანა.

ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად, სატვირთოდან საწვავი დაიღვარა. ადგილზე მობილიზებული იყვნენ სახანძრო-სამაშველო სამსახური და საპატრულო პოლიცია.

მომხდარზე გამოძიება 276-ე მუხლის მე-2 ნაწილით დაიწყო, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს.

# ირანი ურანის გამდიდრების ახალ ეტაპს იწყებს



ირანმა ურანის გამდიდრების ახალი ეტაპი დაიწყო. ამის შესახებ სიენენი ირანის ეროვნული ატომური ენერგიის ორგანიზაციის ხელმძღვანელის განცხადებაზე დაყრდნობით იუწყება.

ალი აქბარ სალეჰიმ სახელმწიფო ტელევიზიას განუცხადა, რომ ირანი ახლა მუშაობს პროტოტიპის ცენტრიფუგაზე, რომელიც 50-ჯერ უფრო სწრაფია, ვიდრე ბირთვული შეიარაღების კონტროლის ხელშეკრულებით იყო ნებადართული.

ცნობისთვის, ოფიციალურმა თეირანმა თანდათანობით შეამცირა ბირთვული ხელშეკრულების ფარგლებში არსებული ნაკისრი ვალდებულებების შესრულება. ირანსა და შეერთებულ შტატებს შორის ურთიერთობები კიდევ უფრო გამწვავდა მას შემდეგ, რაც დონალდ ტრამპის გადაწყვეტილებით, ამერიკამ შეთანხმება დატოვა და 2018 წელს ირანს ეკონომიკური სანქციები ხელახლა დაუწესა.

განცხადებები ურანის გამდიდრების შესახებ დღეს გაკეთდა. როგორც ცნობილია, 4 ნოემბერს ირანი „ამერიკის საელჩოს აღების" 40 წლისთავს აღნიშნავს. 1979 წელს, აშშ-ის მიერ მხარდაჭერილი შაჰის დაცემის შემდეგ, ისლამისტი რადიკალი სტუდენტები საელჩოს შენობაში შეიჭრნენ და 52 ამერიკელი მძევლად აიყვანეს. ისინი ტყვეობაში 444 დღის განმავლობაში იმყოფებოდნენ. მას შემდეგ, ორმა ქვეყანამ ურთიერთობების ნორმალიზება ვერ მოახერხა.

# ესტონეთი რუსეთს საბჭოთა ოკუპაციისთვის 1,2 მილიარდი ევროს გადახდას სთხოვს

ესტონეთის შინაგან საქმეთა მინისტრის, ურმას რეინსალუს თქმით, რუსეთმა ტალინს საბჭოთა ოკუპაციისთვის კომპენსაცია უნდა გადაუხადოს.

ინფორმაციას ამის შესახებ რუსული მედია ავრცელებს.

ესტონეთის იუსტიციის სამინისტროს მონაცემებით, მოსკოვმა ტალინს დაახლოებით 1,2 მილიარდი ევრო უნდა გადაუხადოს.

— კითხვაზე, უნდა განვიხილოთ თუ არა წარსულში ჩადენილი უსამართლობა და წარსულში მიღებული ზიანი, ჩემი პასუხი იქნება — დიახ, — განაცხადა მინისტრმა. მან ასევე აღნიშნა, რომ სტრატეგიული გაგებით, ესტონურ-რუსული ურთიერთობების მომავალი მხოლოდ ოკუპაციის აღიარება შეიძლება იყოს.

შეგახსენებთ, 2015 წლის დეკემბერში, ლატვიის, ლიეტუვის და ესტონეთის იუსტიციის სამინისტროებმა ხელი მოაწერეს დეკლარაციას, რომლის მიხედვითაც რუსეთს ოკუპაციით გამოწვეული ზარალის კომპენსაციას სთხოვენ.





# ერაყში დემონსტრანტები ირანის საკონსულოს თავს დაესხნენ

ერაყში, ქალაქ კარბალაში ათობით დემონსტრანტი ირანის საკონსულოს თავს დაესხა. მათ ირანის დროშა ჩამოაგდეს და ერაყის დროშით შეცვალეს.

უსაფრთხოების ძალებმა მომიტინგეების გასაფრთხილებლად ცეცხლი გახსნეს, რომელთაც საპასუხოდ, შენობას ქვები და ცეცხლმოკიდებული ბორბლები ესროლეს.

დაზარალებულთა შესახებ ინფორმაცია არ გავრცელებულა. როგორც „ასოშიეითიდ პრესს" ანონიმურმა წყარომ განუცხადა, მთავრობა გეგმავს, ქალაქში სამთავრობო ძალები გადაისროლოს. მსოფლიო მედიაში ბოლო დროს არაერთხელ გავრცელდა ცნობები, რომ ერაყის მთავრობას ირანი მფარველობს. ერაყში თვეზე მეტია, მთავრობის გადადგომის მოთხოვნით მასშტაბური აქციები იმართება. პირველი ოქტომბრიდან დღემდე, სამთავრობო ძალებთან შეტაკებების დროს, 250 ადამიანზე მეტი დაიღუპა.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# სამკურნალოდ წასული კიბოთი დაავადებული მამაკაცი გამდიდრდა



ამერიკის ჩრდილოეთ კაროლინას შტატის ქალაქ პინკ ჰილის მცხოვრები ქიმიოთერაპიის ბოლო კურსის ჩასატარებლად გაემგზავრა და ლატარიაში ჯეკპოტი მოხსნა.

რონი ფოსტერმა ლატარიის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ მსხვილი ნაწლავის კიბოს მკურნალობას იტარებს. საავადმყოფოსკენ მიმავალ გზაზე მამაკაცმა ქალაქ ბეულავილის მაღაზიაში შეიარა და მომენტალური ლატარიის ბილეთი იყიდა.

ერთ დოლარად ნაყიდმა ლატარიის ბილეთმა ამერიკელს ხუთი დოლარი მოაგებინა.

— მაშინ გადავწყვიტე, ხუთდოლარიანი ბილეთი მეყიდა, — იხსენებს ფოსტერი, — მაგრამ ბოლო მომენტში ერთის ნაცვლად, ორი ბილეთი ვიყიდე.

მეორე ლატარიის ბილეთმა მამაკაცს 200 ათასი დოლარი მოაგებინა.

— მე ისედაც ბედნიერად ვგრძნობდი თავს იმის გამო, რომ კიბოს მკურნალობა დასასრულს უახლოვდებოდა, — აღიარა ფოსტერმა, — ხოლო ამ მოგებამ ეს დღე კიდევ უფრო განსაკუთრებულად აქცია.

— უამრავი ნულები რომ დავინახე, ენა ჩამივარდა, — ამბობს ლატარიის გამარჯვებული, — საკუთარ ბედნიერებას ვერ ვიჯერებდი, სანამ მაღაზიის თანამშრომელმა ჩემი ბილეთი არ გადაამოწმა. როდესაც ეკრანზე გამოჩნდა წარწერა „მიბრძანდით ლატარიის შტაბბინაში", ნერვიულმა კანკალმა ამიტანა. ეს ყოველივე ჩემს გონებაში არ ჯდებოდა.

ფოსტერის თქმით, მოგებული თანხის ნაწილით სამედიცინო ანგარიშს გადაიხდის, დანარჩენს კი სამომავლოდ გადადებს.

# ძმების კამათი ბიბლიაზე, სროლით დასრულდა



ამერიკის ფლორიდის შტატის მცხოვრები მას შემდეგ დააპატიმრეს, როდესაც ბიბლიის თემაზე კამათის გამო ძმას ცეცხლი გაუხსნა. 31 წლის მაიკლი დინი და მისი ძმა სახლის წინ ისხდნენ და სვამდნენ. რამდენიმე ბოთლი ალკოჰოლური სასმელის მიღების შემდეგ მათ შორის კამათი ბიბლიის გამო დაიწყო, რომელიც შემდეგ ჩხუბში გადაიზარდა. დინმა ძმას დახრჩობა დაუწყო, მაგრამ მან მისგან თავის დაღწევა მოახერხა. ხანმოკლე შეხლა-შემოხლის შემდეგ, ის სახლის წინ, ყვავილნარში გავიდა და პისტოლეტი აიღო. ჯერ დინმა მოითხოვა, რომ მისი ძმა წასულიყო, შემდეგ კი განაცხადა, რომ თუ ის თუნდაც ერთ ნაბიჯსაც კი გადადგამდა, ესროდა. რამდენიმე წამის შემდეგ კი მან ოთხჯერ თუ ხუთჯერ ისროლა მიწაზე ძმის ფეხებთან, რომელიც იმ დროს უკვე სახლის კიბის პირველ საფეხურზე იდგა. როდესაც ინციდენტის ადგილზე სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები მივიდნენ, დინმა მათ დაუდასტურა, რომ ჩხუბი ბიბლიის გამო მოხდა. ადგილზე პოლიციელებმა ორმოცი კალიბრის ტყვიის ხუთი მასრა და ორი ტყვიის გულა აღმოაჩინეს. დინი სროლას უარყოფდა და აცხადებდა, რომ ტყვიის მასრები შესაძლოა მისი ავტომობილიდან გადმოცვივდა. როდესაც პოლიციელებმა მისი დაკავება სცადეს, მან მათი ავტომობილის კარს ფეხის რტყმა დაუწყო. საბოლოოდ მამაკაცი დააპატიმრეს.

# გველის ნაკბენით შეშინებულმა ფერმერმა თითი მოიჭრა



ჩინეთის პროვინცია ჩჟეცზიანის მკვიდრმა ფერმერმა მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითი მას შემდეგ მოიკვეთა, რაც მასზე გველმა უკბინა. 60 წლის მამაკაცი, სახელად ჩჟანი, შეშას ჭრიდა, როდესაც მას ქვეწარმავალმა უკბინა. ფერმერმა იფიქრა, რომ მას თავს შხამიანი, სიცოცხლისთვის მეტად სახიფათო გველგესლა დაესხა. ადგილობრივი რწმენით, მისი მსხვერპლი მხოლოდ ხუთი ნაბიჯის გადადგმას ასწრებს, რის შემდეგაც იღუპება. იმისთვის, რომ შხამის მთელ სხეულში გავრცელება აღეკვეთა, ჩინელმა თითი მოიჭრა. მან ჭრილობა ქსოვილით გადაიხვია და უახლოეს მსხვილ ქალაქ ხანჩჟოუმდე 80 კილომეტრი გაიარა. ექიმებმა პაციენტს განუმარტეს, რომ მან სულ ტყუილად მოიჭრა თითი, ვინაიდან შხამი მისი სიცოცხლისთვის იმდენად სახიფათო არ ყოფილა, რომ ასეთი ღონისძიებისთვის მიემართა. ექიმმა ჟენ ცზინპინმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მამაკაცს არ აღმოაჩნდა ის სიმპტომები, რომლებიც შხამიანი გველის კბენის შედეგად უვითარდება ადამიანს: თავის ტკივილი, სუნთქვის გაძნელება და ღრძილებიდან სისხლდენა. ამის მიუხედავად მას შხამის საწინააღმდეგო წამალი მისცეს და იარა დაუმუშავეს.

# მამაკაცი, რომელიც ტელეფონში პორნოფილმებს ინახავდა, სასამართლოს წინაშე წარდგა

მალაიზიის სასამართლომ მობილური ტელეფონების მაღაზიის მფლობელი საკუთარ ტელეფონში 55 პორნოფილმის შენახვისთვის დააჯარიმეს.

2018 წლის 25 ოქტომბერს პოლიციამ 36 წლის სი ფუ ხუნის iPhone X-ში პორნორგოლების კოლექცია აღმოაჩინა. მამაკაცს ქვეყანაში აკრძალული მასალების გავრცელებაში დასდეს ბრალი. მას ჯარიმა ან სამ წლამდე პატიმრობა ემუქრებოდა, ან ერთიც და მეორეც. კომუნიკაციების და მედიის მალაიზიის კომისიის წარმომადგენელმა ბრალმდებელმა სასამართლოს სთხოვა, განაჩენი შეემსუბუქებინა, რომელიც სამართალდამრღვევისა და საზოგადოებისთვის მხოლოდ გაკვეთილად გამოდგებოდა. იგივეს მოითხოვდა სი ფუ ხუნის ადვოკატი, რომელიც ამტკიცებდა, რომ განსასჯელისთვის ასეთი პირველი ქმედება იყო. 30 ოქტომბერს მოსამართლე ნურ ფარახაინ რაზლანმა მალაიზიელი 2686 სინგაპურული დოლარით დააჯარიმა. თუ ის ამ თანხას არ გადაიხდის, მაშინ მას სამი თვით პატიმრობას მიუსჯიან.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა.** თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნილბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას"); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**

**ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52**


# განცხადებები

**იყიდება**

● იყიდება მსხმოიარე ვენახი 0,5 ჰექტარი, ვენახში არის ჩინურის, თავკვერის და ალადასტურის ჯიშის ყურძენი. თბილისიდან 35 წუთის სავალზე, მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში. ნაკვეთთან ახლოს გადის გზა, წყალი, გაზი და სინათლე. გამოდგება მარნის მოსაწყობად. 1 კვ.მ ფასი 12 ლარი. ტელ: 593 127337; 593 515603.

**ჯანმრთელობა, მკურნალობა**

● დიაბეტური დაავადებების, ხერხემლის გამრუდების, ბავშვებში ბრტყელტერფიანობის, ყურებში შუილის, სმენის დაქვეითების მკურნალობა. მოგემსახურებათ გაეროს სერტიფიკატის მფლობელი ექიმი თამარ შავერდოვა. ტელ: 579-281-766.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი — სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიომცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების", მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

● ამკურნალი-კოსმეტოლოგი გთავაზობთ შემდეგი სახის მკურნალობას: სახეზე ჩირქოვანი გამონაყარის „აკნეს" ლაქების მოხსნას, კანის გამოცვლას უმტკივნეულოდ, დახეთქილი და გაუხეშებული ქუსლების, ხელების მკურნალობას ხსნარებისა და მალამოების საშუალებით. ტელ: 555-11-00-06.

# თბილისის დინამომ ბათუმელ თანაკლუბელებს გადაუსწრო

**დინამო (თბ)-ტორპედო 2:1**

**თბილისი. დინამო არენა**

**1:0, 2:0 კუტალია (20, 34), 2:1 კიკნაძე (90)**

დინამო: პერალესი, მონხილი, კობოური, ქიმაძე, იაშვილი, კაპლიენკო (მჭედლიძე 69, არფანგ დაფე 80), კუხიანიძე, პაპავა, ნინუა (ზარია 62), ნ.ქავთარაძე, კუტალია

ტორპედო: შოვნაძე, ჭიჭინაძე, ხურცილავა, ნადარაია, გრიგალაშვილი (კიკნაძე 83), ჩუკვურა, მოსიაშვილი, ფონიავა (იონანიძე 83), დოლიძე, (ჩოგაძე 62), თ.კაპანაძე, ციცქიშვილი

ორივე გუნდისთვის ძალიან მნიშვნელოვანი დაპირისპირება სტუმართა აქტიურობით და უშედეგო სახიფათო შეტევით დაიწყო. საპასუხოდ დედაქალაქელთა შეტევაც აღსანიშნავია, ნოდარ იაშვილის ჩაწოდების შემდეგ, ნოდარ ქავთარაძემ ხელსაყრელ სიტუაციაში ბურთი ვერ შეიმაგრა. ამის შემდეგ თამაშმა მოედნის ცენტრში გადაინაცვლა, მე-15 წუთზე კი ნიკა ნინუას შორეული დარტყმა ზევიდან გადაცდა ტორპედოს კარს. მე-18 წუთზე დინამო გაშვებულ გოლს გადაურჩა, გრიგოლ დოლიძის დარტყმული ოდნავ ასცდა ხოსე პერალესის კარს.

ორიოდე წუთში კი თბილისელებმა ანგარიში გახსნეს. ნიკა ნინუას ჩამოწოდებულ კუთხურს ლევან კუტალია შორეულ ძელთან დაუხვდა – 1:0. მომდევნო შეტევაში გიორგი კუხიანიძის თავური ოდნავ ასცდა სტუმართა კარს. დინამოელებმა სათამაშო უპირატესობა ხელთ იგდეს. მატჩის 34-ე წუთზე პერალესმა მოედნის ცენტრში გიორგი ქიმაძე მოძებნა, მანაც სისწრაფეში გიორგი კუხიანიძე გაიყვანა ფლანგზე, რომლის გამჭოლი პასი კუტალიამ ჩაკეტა – 2:0.

მე-2 ტაიმში სტუმრებმა კიკნაძის გოლით მსაჯის მიერ კომპენსირებულ დროში მოახერხეს ერთი ბურთის გაქვითვა და მატჩიც დედაქალაქელთა გამარჯვებით 2:1 დასრულდა.

დინამომ ისარგებლა ლიდერის წაფორხილებით და 3 ტურით ადრე ცხრილის სათავეში მოექცა.

**ჩიხურა-დინამო (ბთ) 2:0**

**ივანე ზოდელავა. ცენტრალური**

**1:0 ფანცულაია (67), 2:0 არდაზიშვილი (87)**

ჩიხურა: ჰამზიჩი, ჩიტეიშვილი, მამასახლისი, მარკოზაშვილი, მაისაშვილი, ფანცულაია (მუმლაძე 77), კორიფაძე, სარდალიშვილი (ერგემლიძე 74), ჩიკვაიძე (ჩიხლაძე 65), არდაზიშვილი, კაშია

დინამო: ალავიძე, ტეიდი (გაფრინდაშვილი 69), ჯილაური (რამოსი 63), მანჯგალაძე, ფლამარიონი, მამუჩაშვილი (თევდორაძე 83), კობახიძე, დვალიშვილი, მელიავა, გაგოშიძე, ნავალოვსკი

შესაძლოა, ითქვას, ბათუმის დინამომ ფინალური მატჩი წააგო. ზღვისპირელებმა ამ მარცხით ლიდერობა დაკარგეს და დარჩენილ ტურებში მარტო თავის იმედად არ უნდა დადგნენ - მეტოქის ფეხის დაცდენას უნდა დაელოდონ.

ქულები საჩხერლებსაც სჭირდებოდათ, ამიტომ საკმაოდ დაძაბული გამოდგა.

27-ე წუთზე დვალიშვილის დარტყმის შემდეგ, როგორც გამეორებაზე გამოჩნდა, საჩხერელთა მცველს ბურთი ხელზე მოხვდა, თუმცა მსაჯმა ეს ვერ შეამჩნია.

მეორე ტაიმის დასაწყისში ჯოვინო ფლამარიონი მეტოქის საჯარიმოსთან თამაშის წესების დარღვევით გააჩერეს, თუმცა მსაჯის სასტვენი დუმდა.

ეს 2 ეპიზოდი გახდა მატჩის შემდეგ განსჯის საგანი. აჭარულმა გუნდმა უამრავი ურთიერთსაპირისპირო განცხადება გააკეთა. ამ წუთისთვის სიტუაცია უფრო ჩაწყნარდა.

მიუხედავად იმისა, რომ დინამო უტევდა, 67-ე წუთზე მასპინძლებმა კონტრშეტევაზე გაიტანეს – გიორგი ფანცულაიამ გახსნა ანგარიში.

87-ე წუთზე კი რატი არდაზიშვილმა ბათუმელთა საჯარიმოში ბურთი მიიღო, ერთბაშად 3 კაცი მოატყუა და ეფექტური გოლი გაიტანა.

ჩიხურამ საქმე გამოიკეთა.

**დილა-საბურთალო 2:0**

**გორი. თენგიზ ბურჯანაძე**

**1:0 ჩადუნელი (86), 2:0 კოვტალიუკი (90)**

დილა: ჩოჩიშვილი, გიორბელიძე, მირცხულავა, ჩადუნელი, იენდეუნტი, ნონდი, რაზმაძე, ფორტესი (ა.სანტოსი 82), კუცია (გაგნიძე 70), ნონიკაშვილი (წიქარიძე 73), კოვტალიუკი

საბურთალო: კუპატაძე, მალი, მარგველაშვილი, სანდოხაძე, რეხვიაშვილი, ტაბატაძე (გი 46), ტერა, ალთუნაშვილი, გორგიაშვილი (ლაკვეხელიანი 63), როლოვიჩი (გაბედავა 76), კოხრეიძე

მასპინძლებმა გოლები მატჩის მიწურულს გაიტანეს – 86-ე წუთზე ჯერ ჩადუნელმა გამოიჩინა თავი, მსაჯის მიერ დამატებულ მესამე წუთზე კი კოვტალიუკმა საბოლოო ანგარიში დააფიქსირა.

**ვიტ ჯორჯია-ლოკომოტივი 0:2**

**თბილისი. მიხეილ მესხი 2**

**0:1, 0:2 სიხარულიძე (58, 78)**

ვიტ ჯორჯია: ისერგიშვილი, კიკალიშვილი, ნემსაძე, თათხაშვილი (მუზაშვილი 71), ქისიევი, სეხნიაშვილი, ვარძელაშვილი (ხუციანიძე 72), ზარიძე, ნანობაშვილი (ჯანელიძე 78), მაქაცარია, მუსელიანი

ლოკომოტივი: ბულისკერია, გურეშიძე, ჭანტურია, გაბაძე, უბილავა, სამურკასოვი (კიკაბიძე 85), შონია, გვალია, დ.კირკიტაძე, თ.კირკიტაძე (კომახიძე 80), სიხარულიძე (ჯიქია 87)

ლოკომოტივმა ვიტ ჯორჯიასთან ირაკლი სიხარულიძის დუბლით, დაგეგმილი 3 ქულა მოიპოვა და უფრო მიუახლოვდა ევროპა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპს. თუმცა, ევროთასებზე ასპარეზობის ოფიციალურად გასაფორმებლად, ლევან კორღალიძის გუნდს მომდევნო ტურში უახლოეს მდევართან, საჩხერის ჩიხურასთან დადებითი შედეგი სჭირდება.

**სიონი-რუსთავი 2:1**

**ბოლნისი. თამაზ სტეფანია**

**1:0, 2:0 გვარაძე (24, 37), 2:1 ქავთარაძე (45პ)**

90-ე წუთზე რატი ცაცკრიალაშვილმა ვერ გაიტანა პენალტი

სიონი: გოშაძე, თომაშვილი, უგრეხელიძე, თარხნიშვილი, ხმალაძე, უგულავა (ტატანაშვილი 64), თარგამაძე, აფაქიძე, სუხიაშვილი, გვარაძე (ცაცკრიალაშვილი 71), ივანიშვილი (ტვილდიანი 85)

რუსთავი: მამარდაშვილი, ც.კაპანაძე, ლაცაბიძე, ნოზაძე, სილაგაძე (ბაირამოვი 69), გუჯაბიძე, ბ.ქავთარაძე, სიჭინავა, ქოჩლაძე, იმნაძე (ლეჟავა 45), ბუგულოვი

ქვემოქართლურ დერბიში უშუალო კონკურენტები ხვდებოდნენ ერთმანეთს. მოიგო იმ გუნდმა, ვინც უკეთ გამოიყენა საგოლე შანსები.

სიონი ბექა გვარაძის გოლებით 2:0 დაწინაურდა. მართალია, პირველი ტაიმის ბოლოს ბექა ქავთარაძემ პენალტით სხვაობა კი შეამცირა, მაგრამ რუსთაველებმა მეტი ველარ შეძლეს და სიონს გადასწრების საშუალება მისცეს.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო (თბ) | 33 | 20 | 6 | 7 | 64-30 | 66 |
| 2.დინამო (ბთ) | 33 | 19 | 7 | 7 | 52-28 | 64 |
| 3.საბურთალო | 33 | 18 | 7 | 8 | 56-33 | 61 |
| 4.ლოკომოტივი | 33 | 15 | 4 | 14 | 40-42 | 49 |
| 5.დილა | 33 | 11 | 8 | 14 | 36-39 | 41 |
| 6.ჩიხურა | 33 | 10 | 11 | 12 | 43-40 | 41 |
| 7.ტორპედო | 33 | 11 | 7 | 15 | 49-51 | 40 |
| 8.სიონი | 33 | 10 | 8 | 15 | 36-71 | 38 |
| 9.რუსთავი | 33 | 9 | 10 | 14 | 37-50 | 37 |
| 10.ვიტ ჯორჯია | 33 | 4 | 8 | 21 | 14-43 | 20 |

## ბითაძე სასტარტოში გამოჩნდა

ამერიკის ნაციონალურ საკალათბურთო ასოციაციაში 20 წლის ქართველმა, გოგა ბითაძემ სასტარტო ხუთეულში პირველად ითამაშა. ეს ჩიკაგო ბულსთან მოხდა, რომელიც ინდიანა პეისერსმა 108:95 დაამარცხა და წარმატებული სერია სამამდე გაზარდა.



ბითაძემ მოედანზე 19 წუთი გაატარა და ალბათ, მეტი დროც მიეცემოდა, პერსონალური ფოლებით რომ არ დატვირთულიყო. შეხვედრაში ინდიანელთა პირველი ქულები სწორედ ქართველმა ლეგიონერმა მიითვალა, საბოლოოდ კი, მისი მონაგარი 9 ქულა, 4 მოხსნა, 3 პასი და 4 დაფარება იყო. გოგამ 6-დან 3 ორქულიანი და სამქულიანი ჩააგდო.

ინდიანელთა რიგებში საუკეთესო ტი ჯეი უორენი იყო 26 ქულით, მალკოლმ ბროგდონმა 22 ქულას 7 პასი წაამატა, ტი ჯეი ლიფმა კი ორმაგი დუბლი შეასრულა – 13 ქულა, 15 მოხსნა.

სეზონის სტარტზე განცდილი 3 მარცხის შემდეგ ინდიანამ ზედიზედ მე-3 გამარჯვება იზეიმა და აღმოსავლეთ კონფერენციაში მე-6 ადგილზე გადაინაცვლა, მომდევნო მატჩს ბითაძის გუნდი სტუმრად, შარლოტ ჰორნეთსთან ჩაატარებს.

# შედეგები

## 3 ნოემბერი

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

კრ.პალასი-ლესტერი ..................... 0:2
ევერტონი-ტოტენჰემი ..................... 1:1

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

ჩარლტონი-პრესტონი ..................... 0:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლივერპული | 11 | 10 | 1 | 0 | 25-9 | 31 |
| 2.სიტი | 11 | 8 | 1 | 2 | 34-10 | 25 |
| 3.ლესტერი | 11 | 7 | 2 | 2 | 28-8 | 23 |
| 4.ჩელსი | 11 | 7 | 2 | 2 | 25-17 | 23 |
| 5.არსენალი | 11 | 4 | 5 | 2 | 16-15 | 17 |
| 6.შეფილდი | 11 | 4 | 4 | 3 | 12-8 | 16 |
| 7.ბორნმუთი | 11 | 4 | 4 | 3 | 14-13 | 16 |
| 8.ბრაიტონი | 11 | 4 | 3 | 4 | 14-14 | 15 |
| 9.კრ.პალასი | 11 | 4 | 3 | 4 | 10-14 | 15 |
| 10.მანჩესტერი | 11 | 3 | 4 | 4 | 12-10 | 13 |
| 11.ტოტენჰემი | 11 | 3 | 4 | 4 | 17-16 | 13 |
| 12.ვულვზი | 11 | 2 | 7 | 2 | 14-14 | 13 |
| 13.ვესტ ჰემი | 11 | 3 | 4 | 4 | 14-17 | 13 |
| 14.ბარნლი | 11 | 3 | 3 | 5 | 14-18 | 12 |
| 15.ნიუკასლი | 11 | 3 | 3 | 5 | 9-17 | 12 |
| 16.ასტონ ვილა | 11 | 3 | 2 | 6 | 16-18 | 11 |
| 17.ევერტონი | 11 | 3 | 2 | 6 | 11-17 | 11 |
| 18.საუთჰემპტონი | 11 | 2 | 2 | 7 | 10-27 | 8 |
| 19.ნორვიჩი | 11 | 2 | 1 | 8 | 10-25 | 7 |
| 20.უოტფორდი | 11 | 0 | 5 | 5 | 6-23 | 5 |

**გერმანია. ბუნდესლიგა**

ფორტუნა-კიოლნი ..................... 2:0
აუგსბურგი-შალკე ..................... 2:3

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.გლადბახი | 10 | 7 | 1 | 2 | 21-10 | 22 |
| 2.დორტმუნდი | 10 | 5 | 4 | 1 | 23-11 | 19 |
| 3.ლაიფციგი | 10 | 5 | 3 | 2 | 25-10 | 18 |
| 4.ბაიერნი | 10 | 5 | 3 | 2 | 25-16 | 18 |
| 5.ფრაიბურგი | 10 | 5 | 3 | 2 | 19-12 | 18 |
| 6.შალკე | 10 | 5 | 3 | 2 | 17-11 | 18 |
| 7.აინტრახტი | 10 | 5 | 2 | 3 | 21-15 | 17 |
| 8.ვოლფსბურგი | 10 | 4 | 5 | 1 | 11-8 | 17 |
| 9.ჰოფენჰაიმი | 10 | 5 | 2 | 3 | 14-13 | 17 |
| 10.ლევერკუზენი | 10 | 4 | 3 | 3 | 16-14 | 15 |
| 11.ჰერტა | 10 | 3 | 2 | 5 | 15-17 | 11 |
| 12.ვერდერი | 10 | 2 | 5 | 3 | 17-21 | 11 |
| 13.ფორტუნა | 10 | 3 | 1 | 6 | 12-16 | 10 |
| 14.უნიონი | 10 | 3 | 1 | 6 | 10-15 | 10 |
| 15.მაინცი | 10 | 3 | 0 | 7 | 10-27 | 9 |
| 16.აუგსბურგი | 10 | 1 | 4 | 5 | 12-24 | 7 |
| 17.კიოლნი | 10 | 2 | 1 | 7 | 8-21 | 7 |
| 18.პადერბორნი | 10 | 1 | 1 | 8 | 11-24 | 4 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

არმინია-კილი ..................... 2:1
ვისბადენი-ჰამბურგი ..................... 1:1
შტუტგარტი-დინამო ..................... 3:1

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ვალიადოლიდი-მალიორკა ..................... 3:0
ვილიარეალი-ბილბაო ..................... 0:0
ოსასუნა-ალავესი ..................... 4:2
ლეგანესი-ეიბარი ..................... 1:2
სელტა-ხეტაფე ..................... 0:1
გრანადა-სოსიედადი ..................... 1:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 11 | 7 | 1 | 3 | 29-14 | 22 |
| 2.რეალი | 11 | 6 | 4 | 1 | 21-9 | 22 |
| 3.სოსიედადი | 12 | 7 | 1 | 4 | 20-13 | 22 |
| 4.ატლეტიკო | 12 | 5 | 6 | 1 | 12-7 | 21 |
| 5.სევილია | 12 | 6 | 3 | 3 | 15-13 | 21 |
| 6.გრანადა | 12 | 6 | 2 | 4 | 19-15 | 20 |
| 7.ვილიარეალი | 12 | 5 | 3 | 4 | 25-16 | 18 |
| 8.ხეტაფე | 12 | 5 | 4 | 3 | 18-15 | 18 |
| 9.ოსასუნა | 12 | 4 | 6 | 2 | 16-13 | 18 |
| 10.ბილბაო | 12 | 4 | 5 | 3 | 11-7 | 17 |
| 11.ლევანტე | 12 | 5 | 2 | 5 | 15-14 | 17 |
| 12.ვალიადოლიდი | 12 | 4 | 5 | 3 | 14-14 | 17 |
| 13.ვალენსია | 12 | 4 | 5 | 3 | 17-18 | 17 |
| 14.ეიბარი | 12 | 4 | 3 | 5 | 14-17 | 15 |
| 15.ბეტისი | 12 | 3 | 4 | 5 | 14-21 | 13 |
| 16.ალავესი | 12 | 3 | 3 | 6 | 11-18 | 12 |
| 17.მალიორკა | 12 | 3 | 2 | 7 | 9-18 | 11 |
| 18.სელტა | 12 | 2 | 3 | 7 | 6-15 | 9 |
| 19.ესპანიოლი | 12 | 2 | 2 | 8 | 6-20 | 8 |
| 20.ლეგანესი | 12 | 1 | 2 | 9 | 6-21 | 5 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ესტრემადურა-ხირონა ..................... 1:3
ლუგო-რაიო ..................... 1:0
სარაგოსა-ლას პალმასი ..................... 3:0
ელჩე-მირანდესი ..................... 4:2

**იტალია. სერია ა**

ატალანტა-კალიარი ..................... 0:2
ვერონა-ბრეშა ..................... 2:1
ჯენოა-უდინეზე ..................... 1:3
ლეჩე-სასუოლო ..................... 2:2
ფიორენტინა-პარმა ..................... 1:1
მილანი-ლაციო ..................... 1:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 11 | 9 | 2 | 0 | 19-9 | 29 |
| 2.ინტერი | 11 | 9 | 1 | 1 | 24-11 | 28 |
| 3.რომა | 11 | 6 | 4 | 1 | 20-12 | 22 |
| 4.ლაციო | 11 | 6 | 3 | 2 | 24-11 | 21 |
| 5.ატალანტა | 11 | 6 | 3 | 2 | 30-18 | 21 |
| 6.კალიარი | 11 | 6 | 3 | 2 | 18-10 | 21 |
| 7.ნაპოლი | 11 | 5 | 3 | 3 | 21-15 | 18 |
| 8.ფიორენტინა | 11 | 4 | 4 | 3 | 16-14 | 16 |
| 9.ვერონა | 11 | 4 | 3 | 4 | 9-9 | 15 |
| 10.პარმა | 11 | 4 | 2 | 5 | 16-15 | 14 |
| 11.მილანი | 11 | 4 | 1 | 6 | 11-15 | 13 |
| 12.უდინეზე | 11 | 4 | 1 | 6 | 8-18 | 13 |
| 13.ბოლონია | 11 | 3 | 3 | 5 | 15-17 | 12 |
| 14.ტორინო | 11 | 3 | 2 | 6 | 11-17 | 11 |
| 15.სასუოლო | 10 | 3 | 1 | 6 | 18-20 | 10 |
| 16.ლეჩე | 11 | 2 | 4 | 5 | 13-21 | 10 |
| 17.ჯენოა | 11 | 2 | 2 | 7 | 14-26 | 8 |
| 18.ბრეშა | 10 | 2 | 1 | 7 | 10-16 | 7 |
| 19.სპალი | 10 | 2 | 1 | 7 | 7-17 | 7 |
| 20.სამპდორია | 10 | 1 | 2 | 7 | 6-19 | 5 |

**იტალია. სერია ბ**

პორდენონე-ტრაპანი ..................... 2:1
ჩიტადელა-ფიორენტინა ..................... 0:0
ბენევენტო-ემპოლი ..................... 2:0

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

ბორდო-ნანტი ..................... 2:0
ნიცა-რეიმსი ..................... 2:0
სტ.ეტიენი-მონაკო ..................... 1:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 12 | 9 | 0 | 3 | 26-7 | 27 |
| 2.ანჟე | 12 | 6 | 2 | 4 | 17-16 | 20 |
| 3.ნანტი | 12 | 6 | 1 | 5 | 9-9 | 19 |
| 4.მარსელი | 12 | 5 | 4 | 3 | 14-16 | 19 |
| 5.ლილი | 12 | 5 | 3 | 4 | 18-13 | 18 |
| 6.ბორდო | 12 | 5 | 3 | 4 | 17-14 | 18 |
| 7.რეიმსი | 12 | 5 | 3 | 3 | 9-6 | 18 |
| 8.სტ.ეტიენი | 12 | 5 | 3 | 4 | 12-15 | 18 |
| 9.ბრესტი | 12 | 4 | 5 | 3 | 13-14 | 17 |
| 10.ლიონი | 12 | 4 | 4 | 4 | 19-11 | 16 |
| 11.მონპელიე | 12 | 4 | 4 | 4 | 11-10 | 16 |
| 12.ამიენი | 12 | 4 | 4 | 4 | 16-17 | 16 |
| 13.ნიცა | 12 | 5 | 1 | 6 | 15-18 | 16 |
| 14.რენი | 11 | 4 | 3 | 4 | 13-12 | 15 |
| 15.მონაკო | 12 | 4 | 3 | 5 | 19-22 | 15 |
| 16.დიჟონი | 12 | 3 | 3 | 6 | 7-13 | 12 |
| 17.სტრასბური | 12 | 3 | 3 | 6 | 7-13 | 12 |
| 18.ტულუზა | 12 | 3 | 3 | 6 | 15-22 | 12 |
| 19.მეცი | 12 | 3 | 3 | 6 | 11-18 | 12 |
| 20.ნიმი | 11 | 2 | 5 | 4 | 10-12 | 11 |

**ნიდერლანდები. ერედივიზიონი**

ემენი-ვიტესი ..................... 2:1
ვენლო-ფეიენოორდი ..................... 0:3
გრონინგენი-ტილბურგი ..................... 2:0
უტრეხტი-სიტარდი ..................... 6:0
დენ ჰააგი-ჰერენვენი ..................... 1:1

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

ჟილ ვისენტე-მარიტიმუ ..................... 2:0
ტონდელა-სპორტინგი ..................... 1:0
პორტუ-ავიში ..................... 1:0
სპორტინგი-ფამილიკაო ..................... 2:2

**რუსეთი. პრემიერლიგა**

კრასნოდარი-როსტოვი ..................... 2:2

**შვეიცარია. სუპერლიგა**

ბაზელი-ქსამაქსი ..................... 1:1
ლუცერნი-ლუგანო ..................... 1:2
სერვეტი-იანგ ბოიზი ..................... 3:0

**შოტლანდია. ლიგის თასი**

რეინჯერსი-ჰართსი ..................... 3:0

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

ადმირა-ჰარტბერგი ..................... 0:1
ტიროლი-ალტახი ..................... 0:4
ლინცერი-ავსტრია ..................... 2:0

**ბელგია. ა დივიზიონი**

ანდერლეხტი-სერკლი ..................... 2:1
გენტი-სტანდარდი ..................... 3:1
მეხელენი-შარლერუა ..................... 2:2

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

ლარისა-ოფი ..................... 3:2
პანეთოლიკოსი-ასტერასი ..................... 1:1
აეკი-ატრომიტოსი ..................... 3:2
პაოკი-პანათინაიკოსი ..................... 2:2

**თურქეთი. სუპერლიგა**

დენიზლი-სივასი ..................... 0:2
ქაშიმფაშა-მალათია ..................... 2:2
ქაისერი-ფენერბახჩე ..................... 1:0

**ჩეხეთი. 1 ლიგა**

კარვინა-იაბლონეცი ..................... 0:1
ლიბერეცი-პრჟიბრჟამი ..................... 3:2
ტეპლიცე-ჩესკე ..................... 1:3
ოპავა-სპარტა ..................... 0:1

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

იაგელონია-ლოძი ..................... 2:0
გურნიკი-პიასტი ..................... 1:1
არკა-ლეგია ..................... 0:1

**უკრაინა. პრემიერლიგა**

ოლექსანდრია-მარიუპოლი ..................... 3:1
დნიპრო-ზორია ..................... 1:4
დინამო-ლვოვი ..................... 4:0
კოლოსი-ოლიმპიკი ..................... 1:2

**დანია. სუპერლიგა**

რანდერსი-ლუნგბიუ ..................... 2:1
ნორდსიელანდი-ორხუსი ..................... 0:1
ოდენსე-ჰობრო ..................... 2:1
ოლბორგი-მიდტიულანდი ..................... 0:1
კოპენჰაგენი-სონდერიისკე ..................... 3:0

**ნორვეგია. ელიტსერია**

ბოდო გლიმდტი-ჰაუგესუნდი ..................... 2:2
ვიკინგი-ლილესტრიომი ..................... 3:0
რანჰეიმი-სტაბეკი ..................... 0:2
სარპსბორგი-ტრომსო ..................... 3:2
ვალერენგა-ბრანი ..................... 1:0

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. შავყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 2. ამერიკის კონტინენტზე გავრცელებული, წითელ წიგნში შეტანილი, კატისებრთა ოჯახის ძვირფასბეწვიანი ცხოველი; 3. ფრანგული კოსმეტიკური ფირმა; 4. ბეისბოლის მოთამაშის ამპლუა; 5. განყოფილების სათაური გაზეთში, ჟურნალში; 10. ქვეწარმავალთა მეორე სახელწოდება; 11. მეტისმეტად ხალისიანი, სიცოცხლით სავსე ადამიანი; 12. ისლანდიის პარლამენტი; 15. ცოდვათა მიტევება კათოლიკურ ეკლესიაში; 16. ჰოლანდიის ფეხბურთელთა გუნდი; 17. ასანთის ძველი ქართული სახელწოდება; 20. ყავის მოსადუღებელი სახელურიანი ჭურჭელი.

**თარაზულად:** 6. მცდარი მხედველობითი, სმენითი, ყნოსვითი და შეხებითი აღქმა; 7. ზღვის ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 8. ქართლში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის ფრანგული ჯიში; 9. ფრანგული პური; 13. იაპონური, ბრინჯის არაყი; 14. დოლი გრძელ დისტანციაზე საქართველოში; 18. ქართველი მხატვარი; 19. აღმოსავლური ხის ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტი; 21. სამხედრო ტექნიკის მწარმოებელი ქართული ფირმა; 22. დაბალი, საამო ხმით მღერა; 23. ილია ჭავჭავაძის პოემა; 24. მითოლოგიური „მარადიული ურია“.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 1. აბსცისა; 3. პანიკა; 8. კამერა; 10. მუნდირი; 11. მერია; 12. დიოპტრი; 14. ანატოლ; 15. კრამიტი; 16. ლეკვი; 19. კარეტა; 20. დიადემა; 21. მანანა. **შვეულად:** 1. აგამემნონი; 2. სამუმი; 3. პალიტრა; 4. კობრი; 5. „კაპიტალი“; 6. ფესვი; 7. ლაინერი; 9. კრისტი; 13. პიურე; 17. კომა; 18. რეა.

**სკანვორდის პასუხები:**

1. არგონი; 2. დარკი; 3. ნიკორა; 4. პერიოდი; 5. აკინაკი; 6. ია; 7. ჩაკ; 8. ლაკმუსი; 9. ასკილი; 10. ბინომი; 11. არ; 12. პა; 13. სუმო; 14. კვაჭალათი; 15. ეტნა; 16. ძუა; 17. მაკა; 18. არკებუზი; 19. ჩანთა; 20. დიანა; 21. მკითხავი; 22. კამეა; 23. ანძა; 24. ჭანარი; 25. „ინდიანა“; 26. აარე; 27. ვირთხა; 28. რაგ; 29. არარა; 30. ასალი; 31. სათლი; 32. ანარა; 33. ლა. **სურათზე:** ვანესა მეი, ოლე გუნარ სოლსკიაერი.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

5 ნოემბერი


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.9582

ევრო — 3.2960

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.8303

100 რუსული რუბლი — 4.6178

## ამინდის პროგნოზი 5 ნოემბერი




## ანუკი არეშიძემ ახალი კოლექცია ვაკის პარკში წარმოადგინა



დიზაინერმა ანუკი არეშიძემ გაზაფხული-ზაფხული 2020-ის უახლესი კოლექცია ვაკის პარკში, ღია ცის ქვეშ წარმოადგინა.

ვაკის პარკში სპეციალურად ამ ჩვენებისთვის გრძელი პოდიუმი აშენდა, სადაც ქართველმა მოდელებმა ანუკის კოსტიუმები წარმოადგინეს. დიზაინერმა არჩევანი ღია და ნათელ ფერებზე შეაჩერა. ჩვენების დასასრულს ანუკი არეშიძე შეკრებილი საზოგადოების წინაშე თავის ოთხ შვილთან ერთად გამოვიდა:

– ყველას უღრმესი მადლობა მობრძანებისთვის, უდიდესი შრომა ჩავდეთ მეც და ჩემმა გუნდმაც და მინდა მადლიერება გამოვხატო თითოეული მათგანის მიმართ!

ბოლოს ეს ოთხი ბიჭი, ჩემი უდიდესი სტიმულია ცხოვრებაში, ვიყო ჩემი საქმის მიმართ ერთგული და თავდადებული, ასევე ერთგვარი გზავნილია, რომ შეგვიძლია ვაკეთოთ ჩვენი საქმე და ამავდროულად ვიყოთ აქტიური დედები. მოკლედ, გოგოებო, წინ! ჩვენი ოცნებების ასრულებისკენ!

## ნინო ქათამაძე ისრაელში იმღერებს




მომღერალი ნინო ქათამაძე კონცერტს ისრაელში გამართავს. 20 დეკემბერს, ისრაელში ნინო ათასობით მაყურებლის წინაშე წარდგება და აღაფრთოვანებს მსმენელს თავისი უნიკალური ხმით და დაუვიწყარი შესრულების მანერით.

როგორც მუსიკისმცოდნეები აღნიშნავენ, ნინოს სტილის ამოცნობა რთულია. მისი მუსიკა ჯაზის, როკის, ქართული მუსიკის ნაზავია და ეს ყველაფერი მსმენელის წინაშე იქმნება. თითოეული სიმღერა მინი სპექტაკლია, რომლის მთავარი გმირები მუსიკა, ხმა და იმპროვიზაცია არიან. სწორედ ამიტომ, თითოეული კონცერტი ერთგული გულშემატკივრებისთვის დღესასწაულია, ხოლო ახალი მსმენელისთვის კი ნამდვილი აღმოჩენა.

## „მხოლოდ ქართულის“ მესამე სეზონი დაიწყო

მუსიკალური შოუ „მხოლოდ ქართულის“ მესამე სეზონი დაიწყო. კონკურსანტები რიყეზე შეიკრიბნენ, მშვიდობის ხიდზე „მხოლოდ ქართულის“ დროშა ააფრიალეს და ავტობუსით კახეთში გაემგზავრნენ. „მხოლოდ ქართულის“ ჟიურის წევრები მარინა ბერიძე, გიორგი უშიკიშვილი და სოფო ნიჟარაძე არიან. კონკურსანტებს კი ნიკა გრიგოლია და ილო ბეროშვილი მთელი პროექტის განმავლობაში გაამხნევებენ.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## ასტროპროგნოზი

### 5 ნოემბრისათვის



**ვერძი** – პასიური დღეა. თუ სისუსტეს გამოიჩენთ, ეს თქვენს წარმატებაზე უთუოდ აისახება. ზედმეტი მზრუნველობა ახლობლებისადმი საჭირო არ არის. **კურო** – სასიცოცხლო პოტენციალი იზრდება. ეს დღე თქვენი შემოქმედებითი აღმავლობის დასაწყისია. სისუსტეს ნუ გამოიჩენთ. **ტყუპები** – აგრესიულობა და ლიდერობისკენ სწრაფვა კოლეგებთან და ახლობლებთან ურთიერთობას გაგიფუჭებთ. ამას შესაძლოა ფინანსური დანაკარგებიც მოჰყვეს. **კირჩხიბი** – ძალზე იღბლიანი დღეა, განსაკუთრებით – საჯარო მოხელეთათვის. ექსპერიმენტებისგან თავი შეიკავეთ. **ლომი** – კომერციული ოპერაციები წარმატებით დაგვირგვინდება. გარისკეთ. არ ინანებთ. ეს ყველაფერი თქვენს შემოქმედებით ზრდასა და ავტორიტეტზე დადებით გავლენას მოახდენს. **ქალწული** – მშობლებისა და ბავშვების მიმართ მეტი ლოიალობა გამოიჩინეთ. ეს დღე ერთგვარი გამოცდა იქნება. **სასწორი** – მოვლენები ელვის სისწრაფით ვითარდება. ერიდეთ უაზრო გარისკვასა და კომერციულ გარიგებებს. მოთმინება და თავშეკავება დღის დევიზია. **ღრიანკალი** – დაისვენეთ და გაერთეთ მშვიდ გარემოში. საღამოს საინტერესო ახალ ამბავს გაიგებთ. **მშვილდოსანი** – დღის პირველი ნახევარი წარმატებული იქნება, თუ იმ საქმეს გააკეთებთ, რომელშიც კარგად ერკვევით. თავს ზედმეტად ნუ გადაიტვირთავთ. **თხის რქა** – ჯანმრთელობის მდგომარეობა სავსებით დამაკმაყოფილებელია, მაგრამ ნერვებს გაუფრთხილდით და ნუ გადაიღლებით. ეცადეთ, იყოთ დამოუკიდებელი და სიტუაცია თქვენ სასარგებლოდ მართოთ. **მერწყული** – ფინანსური ოპერაციები წარმატებით ჩაივლის. კომპრომისზე წასვლა დღეს აუცილებელია. შესაძლოა, შემოსავლის ახალი წყაროც გაგიჩნდეთ. **თევზები** – თუ საჭიროდ მიიჩნევთ, ბოდიშიც მოიხადეთ. დათმობა, მიმტევებლობა, ლოიალობა დღის დევიზია.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## იუმორი

ეზოში ბავშვი ზის და ტირის. გამვლელი მამაკაცი ეუბნება:

– უკვე ასეთი დიდი ხარ და კიდევ ტირი.

– წადი, შენი დედაც...

– ასეთი პატარა და უკვე იგინები.

– აუ, შენი, ვერ გავიგე, რა... ხან დიდი ვარ, ხან პატარა...

●●●

ქალი ავტობუსში წინა კარიდან ბავშვთან ერთად ავიდა. მძღოლმა ბავშვს შეხედა და ჩაილაპარაკა:

– ასეთ საფრთხობელას პირველად ვხედავ ცხოვრებაში!

ქალმა გაიგონა, გაბრაზებული სკამზე დაჯდა, ბავშვი მუხლებზე დაისვა და ხმამაღლა ამბობს:

– უზრდელი, ნაძირალა!

გვერდით მჯდომი მამაკაცი ეკითხება:

– რა მოხდა?

– მძღოლმა გამაბრაზა, უზრდელი!

– მიდით, მისი გვარი ჩაიწერეთ, მე კი მანამდე თქვენს მაიმუნს დავიტოვებ.

●●●

რესტორანში სუფრასთან მჯდომი მამაკაცი გვერდით მჯდომ ქალს ეუბნება:

– რა ღვთაებრივი სურნელი აგდით, ეს სურნელი ჭკუიდან მშლის, ცხოველურ ინსტინქტებს მიღვიძებს! რა გასხიათ ასეთი?

– დეკოლტეში ხინკლის წვენი ჩამეღვარა.

## რეალი სტერლინგში 70 მილიონს იხდის



მადრიდის რეალი სერიოზულად არის დაინტერესებული რაჰიმ სტერლინგით, რომელიც მანჩესტერ სიტის ერთ-ერთი ლიდერია. სტერლინგში რეალი 70 მილიონს იხდის, მაგრამ სიტი მის გაყიდვას არ აპირებს, რადგან გვარდიოლა ამის კატეგორიული წინააღმდეგია.

გარდა ამისა, სიტი სტერლინგს გაცილებით ძვირად აფასებს და მისი სატრანსფერი ღირებულება 150 მილიონს შეადგენს.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## ვალვერდე: „მარცხი ჩვენზე ფსიქოლოგიურად არ მოქმედებს“



ბარსელონას მთავარმა მწვრთნელმა ერნესტო ვალვერდემ განაცხადა, რომ ლევანტესთან მარცხი მის გუნდზე ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ცუდად არ იმოქმედებს და მომავალ შეხვედრებში ბარსელონა კვლავ გამარჯვებისთვის ითამაშებს.

ვალვერდეს აზრით, ფეხბურთელებს გამარჯვებულის მენტალიტეტი აქვთ:

– ლევანტესთან ძალიან უსიამოვნო შეხვედრა იყო და ჩვენთვის ასეთი შედეგი მიუღებელია, მაგრამ ფეხბურთელებს გამარჯვებულის მენტალიტეტი აქვთ და ჩვენ აუცილებლად გავახარებთ გულშემატკივარს.

მომდევნო მატჩს ბარსელონა საკუთარ მოედანზე სლავიასთან გამართავს.

## ანდრე გომეშმა საშინელი ტრავმა მიიღო



ევერტონის პორტუგალიელმა ნახევარმცველმა ანდრე გომეშმა ტოტენჰემთან შეხვედრაში საშინელი ტრავმა მიიღო. გომეშმა სონთან შეჯახების დროს ფეხი მოიტეხა და მდგომარეობას ის ართულებს, რომ მას მოტეხილობა კოჭთან აქვს და შესაძლოა გომეშს კარიერის დასრულებაც კი მოუწიოს.

გომეშს ოპერაციას ჩაუტარებენ და ამის შემდეგ უკვე ბევრი რამ ცნობილი გახდება.

გომეშის ტრავმას ბევრი ცნობილი ფეხბურთელი გამოეხმაურა, მათ შორის კრიშტიანო რონალდუც, რომელმაც თავის თანამემამულეს სწრაფი გამოჯანმრთელება უსურვა.

## ბეილს ჩინეთში წასვლა კვლავ სურს



მადრიდის რეალის უელსელ შემტევს გარეტ ბეილს იანვარში რეალის დატოვება სურს და ჩინეთიდან სარფიან წინადადებას ელოდება.

ბეილსა და მისი რეალიდან წასვლის სურვილზე უკვე ბევრჯერ ითქვა, მაგრამ ის ჯერჯერობით კვლავინდებურად მადრიდშია და რეალის ღირსებას იცავს.

ზინედინ ზიდანმა განაცხადა, რომ მას ბეილთან კონფლიქტი არა აქვს და სურს, რომ უელსელი რეალში დარჩეს.

თვითონ ბეილს ჯერჯერობით კომენტარი არ გაუკეთებია.

## ბაიერნმა კოვაჩი გაუშვა და ახალ მწვრთნელს ეძებს

ნიკო კოვაჩი მიუნხენის ბაიერნის მთავარი მწვრთნელის თანამდებობას აღარ იკავებს. სწორედ ამგვარ გადაწყვეტილებამდე მივიდნენ ბაიერნის პრეზიდენტი ული ჰიონესი, აღმასრულებელი საბჭოს თავმჯდომარე კარლ-ჰაინც რუმენიგე და კლუბის სპორტული დირექტორი – ჰასან სალიჰამიჯიჩი.

ხორვატმა სპეციალისტმა თავად დააყენა თანამდებობიდან მისი გათავისუფლების საკითხი.

კარლ ჰაინც რუმენიგე:

– ბოლო რამდენიმე კვირის განმავლობაში, ჩვენი გუნდის მიერ დაფიქსირებული თამაში და შედეგები აჩვენებდა, რომ აუცილებელი იყო მოქმედება. სწორედ ამიტომ ული ჰიონესმა, ჰასან სალიჰამიჯიჩმა და მე ნიკო კოვაჩი მოვიწვიეთ, რომელთანაც სერიოზული და ღია საუბარი გვქონდა. ეს საუბარი დამთავრდა იმით, რომ ნიკო კოვაჩი ამიერიდან აღარ იკავებს ბაიერნის მთავარი მწვრთნელის თანამდებობას.

ძალიან დამწუხრებულები ვართ იმით, რომ მოვლენებმა ამგვარი განვითარება ჰპოვა. ბაიერნის სახელით მსურს კოვაჩს მადლობა გადავუხადო გაწეული სამსახურისათვის. განსაკუთრებით, გასულ სეზონში მოპოვებული დუბლის გამო.



დროებით გუნდს ნიკო კოვაჩის ასისტენტი, ჰანს ფლიკი უხელმძღვანელებს. სწორედ ის მოამზადებს ბაიერნს ამ კვირაში გასამართი უმნიშვნელოვანესი ორთაბრძოლებისთვის. უეფას ჩემპიონთა ლიგის ეგიდით გერმანული გრანდი ჯერ ოლიმპიაკოსთან გამართავს პაექრობას, შემდეგ კი ბუნდესლიგის მატჩში დორტმუნდის ბორუსიას შეერკინება.

**ჰასან სალიჰამიჯიჩი:**

– ჩვენი ფეხბურთელების მომავალი ასპარეზობით დადებითი მოლოდინი მაქვს და ვიმედოვნებ, რომ ისინი მოახდენენ კარგი თამაშის დემონსტრირებას, რათა შევძლოთ და მიმდინარე სეზონში დასახულ მიზნებს მივაღწიოთ.

**ნიკო კოვაჩი:**

– ვფიქრობ, რომ მოცემულ მომენტში ეს სწორი გადაწყვეტილებაა. გუნდის მიერ ბოლო დროს ნაჩვენებმა შედეგმა ამ გადაწყვეტილებამდე მიმიყვანა. მე და ჩემი ძმა რობერტი დიდ მადლობას ვუხდით ბაიერნს გასული წელიწადნახევრის გამო. აღნიშნული დროის მანძილზე გუნდმა მოიგო ჩემპიონატი, თასი და გერმანიის სუპერთასი. ეს კარგი დრო იყო. გუნდს და კლუბს მომავალ წარმატებებს ვუსურვებ.

გერმანული სპორტული ვებგვერდების ცნობით, ბაიერნის ჩაბარების ერთ-ერთი კანდიდატი ამსტერდამის აიაქსის მთავარი მწვრთნელი ერიკ ტენ ჰაგია.

გავრცელებული ინფორმაციით, ბაიერნის წარმომადგენლები უკვე ესაუბრნენ ტენ ჰააგის წარმომადგენლებს. წყაროს ინფორმაციით, ტენ ჰააგი აიაქსს სეზონის მიმდინარეობისას ნამდვილად არ დატოვებს და, შესაძლოა, გერმანულ კლუბში მხოლოდ იანვარში გადაბარგდეს.

კიდევ ერთ კანდიდატად მასიმილიანო ალეგრი განიხილება.

**მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა**

## კროსვორდი ა



**შვეულად:** 1. სამონასტრო კომპლექსი შიდა ქართლში; 2. თავისუფალ გლეხთა კატეგორია ძველად საქართველოში; 3. ინდოელი მოჭადრაკე მამაკაცი, დიდოსტატი; 4. აჭარაში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 5. მსხვილი საკარმიდამო მამული არგენტინაში; 7. მაღალმთიანი სოფელი სტეფანწმინდის რაიონში; 11. ყველაზე დიდი ტბა ეგვიპტეში; 15. ვერტიკალური სამშენებლო კონსტრუქცია; 16. ალექსანდრე ყაზბეგის რომანი; 17. მუშაობის, ენერგიის საზომი ერთეული ფიზიკაში; 18. რაიონული ცენტრი სამეგრელოში; 20. მდინარე გურიაში; 22. ფულის ერთეული ალბანეთში.

**თარაზულად:** 6. ესპანეთის ნაკრებისა და მადრიდის „რეალი“-ს ფეხბურთელი; 8. უკრაინის მმართველთა ტიტული ძველად; 9. წინასწარ დამუშავებული გეგმა; 10. წყლის დინების საწინააღმდეგო მიმართულებით მცურავი თევზების საერთო სახელწოდება; 12. ფრანგი ფილოსოფოსი, მწერალი; 13. ჰოლივუდის კინორეჟისორი, სცენარისტი, მსახიობი მამაკაცი; 14. პოლიციის განყოფილება იტალიაში; 19. აეროპორტი ბუქარესტში; 21. შვედი მრეწველი, გამომგონებელი, საერთაშორისო პრემიის დამფუძნებელი; 23. პორტუგალიის ფეხბურთელთა გუნდი; 24. კიევის მერი; 25. ნახევარკუნძული ჩრდილო-ამერიკაში; 26. სახლის სხვენში მოწყობილი საცხოვრებელი სათავსო.

**შეადგინა თ.კოპალეიშვილმა**